პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 30 (40). პარასკევი, 1 სექტემბერი, 1944 წ. ფასი 1 მან.

## დღეს ნომერში

— მწერლის მუშაობის ტემპი და ხარისხი (მოწინავე).
— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.
— გიორგი კაჭახიძე — ქართველი მეომარი კარპატებთან (ლექსი).
— საქართველოს მხატვრები ომის დღეებში.
— საქართველოს ძველი დედაქალაქის ძეგლები.
— ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის.
— ნინო სტეფანიშვილი — ერთი ლექსის ისტორია.
— სიკო ფაშალიშვილი — მოსაკითხი პოეტს (ლექსი).
— ნიკო ჭავარიძე — ვალერია ბუნია.
— ალექსანდრე ქუთათელი — ს. ჩიქოვანის „ჩემი მაშველი".
— შალვა ალხაზიშვილი — პირველი ქართული მხატვრული ფილმი.
— სანდრო ეული — გურიის ციხე-ქვევ.
— შალვა რადიანი — გიორგი ერისთავი.
— შალვა ბუაჩიძე — ქართული ჯაზი.
— მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ახალი სეზონის წინ.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

## მწერლის მუშაობის ტემპი და ხარისხი

ამას წინათ, ფრიად საგულისხმო მოწინავე წერილში „საბჭოთა ადამიანების მორალური ძალა" „პრავდა" სწერდა: „მრისხანე ომში, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხალხი, იმარჯვებს არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებაში, მის ეკონომიურ სისტემაში, მის გეგმიან მეურნეობაში დანერგილი უძლიერესი ძალა. ომში იმარჯვებს აგრეთვე სული ჩვენი ხალხისა, მისი პროგრესიული და დიადი მსოფლმხედველობა... ჩვენს ქვეყანაში აღიზარდა ახალი თაობა ადამიანებისა. ახალი მორალი, ახალი იდეები განსაზღვრავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, შრომასა და ყოფას. ეს მორალი გვშველოდა და გვშველის ჩვენ ვაწარმოვოთ ძლევამოსილი ომი ფაშიზმთან, ამ მორალმა დასძრა უკვდავი საქმეებისათვის ნიკოლოზ გასტელო, ზოია კოსმოდემიანსკაია, სტალინგრადისა და ლენინგრადის გმირები, ეს მორალი შობს საბჭოთა პატრიოტების სასახელო გმირულ საქმეებს სამხედრო ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებში. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ადამიანის მაღალი ზნეობით". იგივე გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანი არა მარტო დიადი სამამულო ომის, არამედ მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიაც ამჟღავნებდა თავის თავს ყველაზე მოწინავე საზოგადოების დიდ მოქალაქედ. მხურვალედ ეხმაურებოდნენ რა **ლენინ-სტალინის** პარტიის მოწოდებას, მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია არ ზოგავდნენ ძალღონეს სოციალისტური ინდუსტრიის მშენებლობის საქმისათვის, რის ნაყოფსაც [illegible]

საბჭოთა მუშის, საბჭოთა ინტელიგენტის მხატვრულად ჩვენების ამოცანა თითქმის გადაუჭრელი რჩება.

ლიტერატურის ისტორიიდანაც რომ არ მოვიყვანოთ მაგალითები, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურული პრაქტიკაც აბათილებს დისტანციის თეორიას. ცნობილია, რომ ვ. მაიაკოვსკის სწორედ ის ნაწარმოებნი აღმოჩნდნენ გამძლენი და მაღალმხატვრულნი, რომლებიც ამ პოეტმა რევოლუციური ბრძოლისა და დიდი სოციალისტური მშენებლობის მიერ წამოჭრილ ყოველდღიურ საკითხებზე შექმნა. ეს ერთი. მეორე: საბჭოთა პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში—მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი", სადაც იშვიათის მხატვრული ძალით არის ასახული ბრძოლა კოლექტივიზაციისათვის, დაიწერა სწორედ დიდი გარდატეხის წლებში—მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყების წლებში. იგივე ავტორი ამჟამად—სამამულო ომის დღეებში სწერს მოთხრობას „ისინი იცავდნენ სამშობლოს", რომლის გამოქვეყნებული თავები უდავოდ მოწმობენ ამ ნაწარმოების მაღალმხატვრულ ღირსებას. სამამულო ომის მეორე წელსვე დაიწერა ვ. ვასილევსკაიას „ცისარტყელა", რომელმაც სწორედ დიდი მხატვრული ძალის გამო, არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა. იგივე შეიძლება გავიმეოროთ გროსმანის მოთხრობაზე „ხალხი უკვდავია" და სხვა.

მხატვრული ნაწარმოების შექმნის სიძნელის მიზეზი მოვლენებთან სიახლოვე კი არ არის, არამედ პირიქით, ის გარემოება, რომ ჩვენ საკმაოდ ახ- [illegible]

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პოეტ ა. ბ. აბაშელის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პოეტი ალექსანდრე ბესარიონის-ძე **აბაშელი** დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 25 აგვისტო.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მწერალ ი. გ. გრიშაშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით მწერალი იოსებ გრიგოლის-ძე **გრიშაშვილი** დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 25 აგვისტო.



ალექსანდრე აბაშელი



იოსებ გრიშაშვილი

### გიორგი კაჭახიძე

## ქართველი მეომარი კარპატებთან

მტერს მრისხანედ დაედევნა მამაცი,
კარპატებში შეიმწყვდია დაჭრილი,
შორს დატოვა კავკასია, და მაინც
არ შორდება ამირანის აჩრდილი.
გულმტკიცობა დარიალის კლდის ახლავს,
მშფოთვარება მშობლიური მთის ქარის.
სად იბრძოდა და სად იბრძვის ის ახლა,
რა შორს არის საქართველოს ჭიშკარი!
ახსოვს, მტერი როგორ ცემდა იმ კარებს,
როგორ სურდა, საქართველო ეხილა!
რა შორს არის ახლა ის დრო, ის მხარე, —
მთები მაღლა ამართულნი გრეხილად.
გატყდა მტერი და არ გატყდნენ ის მთები,
არც ეს მტკიცე — იქ მებრძოლი ქართველი.
აუყვავდა შვების ბაღში კვირტები,
დაეფინა დიდი მარშლის ნათელი.
მტერს მრისხანედ დაედევნა მამაცი,
კარპატებში შეიმწყვდია დაჭრილი,
შორს დატოვა კავკასია, და მაინც
არ შორდება ამირანის აჩრდილი.
ხმლის კაშკაშით კარპატს შუქი მოჰფინა,
თითქოს ეს მთაც კავკასიის მკერდია.
აქაც მიწა მომხიბვლელი ყოფილა,
მაგრამ მწუხრი ფერს აძლევდა სევდიანს.
მთის თვალებათ ყვავილები ღვივიან,
ველს ღიმილად ედებიან ქალები
და უმზერენ გმირს, მაღალს და სხივიანს,
საქართველოს ლამაზების თვალებით.
ღამის ფერფლზე დღის სიცოცხლე ინთება,
ჰქრება ქარში მთების ჭმუნვა-ნაღველი,
იბრძვის გმირი და, ვით ხსნა და დიდება,
მიაქვს დროშად ჩვენი ქვეყნის სახელი.

## საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ახალი ინსტიტუტები

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია შეუდგა ორი ახალი ინსტიტუტის ორგანიზაციას — რუსული ენის და ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტების ორგანიზაციას.

### რუსული ენის ინსტიტუტი

— უკანასკნელ წლებში, — სთქვა „იზვესტიას" კორესპონდენტთან საუბარში აკადემიკოსმა ი. ი. მეშჩანინოვმა — (ლიტერატურისა და ენის განყოფილება), — განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის დროს შესამჩნევად გაიზარდა რუსული ენის პრობლემათა მეცნიერული დამუშავების საჭიროება. ამ პრობლემების შემსწავლელ მეცნიერთა გაერთიანება იქნება რუსული ენის ინსტიტუტის მთავარი დანიშნულება. ინსტიტუტის უახლოესი ამოცანები ძირითადად შემდეგში გამოიხატება: თანამედროვე რუსული ენის, მისი დიალექტოლოგიის ისტორიის ფართო, გეგმაშეწონილი დამუშავება. ინსტიტუტის მუშაობის გეგმაში შედის: რუსული ენის შესახებ ამაღლებული ტიპის გამოცემათა (მეცნიერული გრამატიკის და სხვ.) მომზადება, ლექსიკონების გამოცემა, სახალხო კომისარიატების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა დაწესებულებათა კონსულტირება თანამედროვე რუსული ენის საკითხებში. ცხადია, ინსტიტუტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს მეცნიერთა და მკვლევართა ახალი კადრების მომზადება.

### ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

— დღემდე, — განაცხადა იმავე გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აკადემიკოსმა ვ. პ. ვოლგინმა (ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილება), — ჩვენში არ იყო ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ხელოვნებათა ისტორიის შესასწავლად. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა უკანასკნელი არჩევნების დროს არჩეულ იქნა ხელოვნებათა ისტორიის სფეროში მომუშავე მეცნიერთა მნიშვნელოვანი ჯგუფი. ეს გარემოება ახალი ინსტიტუტის ორგანიზაციის შესაძლებლობას იძლევა. ამ ინსტიტუტის შექმნა უეჭველად ხელს შეუწყობს მუშაობის გაღრმავებას ამ სფეროში და საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს. ახალ ინსტიტუტში ეწყობა ხუთი სექტორი: ფერწერის, ქანდაკების, ხუროთმოძღვრების, მუსიკის, თეატრის ისტორიების და რესტავრაციის სექტორი. ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერი-ხელოვნებისმცოდნენი.

## საქართველოს მხატვრები ომის დღეებში

სსრკ-ს მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მოხსენება საქართველოს მხატვართა მუშაობის შესახებ სამამულო ომის დღეებში.

— ომის პირველი ორი წლის განმავლობაში მოწყობილი გამოფენები საქართველოში უმთავრესად ეგრეთწოდებულ „თემატიურ კომპოზიციებიდან" შესდგებოდაო, — თქვა ამხ. ი. ნიკოლაძემ. იმ გარემოებამ, რომ მხატვართა დიდ ნაწილს უშუალო საფრონტო დაკვირვების საშუალება არ ჰქონია, კვალი დაამჩნია ომის სიუჟეტზე დაწერილ შრომების გამომსახველობითს ძალას. შემდეგში, როცა ქართველმა ოსტატებმა ფრონტისპირა რაიონები მოიარეს, მათი ნაწარმოებები უფრო მეტი გამომსახველობითი ძალით აღიჭურვნენ.

ამჟამად საქართველოს მხატვრები დიდი გულმოდგინეობით ემზადებიან საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენისათვის. მთავრობის მიერ გამოყოფილი გამოფენის კომიტეტი (თავმჯდომარე მ. ჭიაურელი, თავმჯდომარის მოადგილე უჩა ჯაფარიძე) შეუდგა ესკიზების გასინჯვასა და დამტკიცებას. მომავალი გამოფენის თემატიკაა — საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა მიერ ფრონტის დასახმარებლად გაწეული გმირული მუშაობის ჩვენება.

ახალგაზრდა მხატვრების ახლახან დამთავრებულმა გამოფენამ, რომელთა უმრავლესობამ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ცხადჰყო ახალგაზრდების მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ზრდა.

იაკობ ნიკოლაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აუცილებლად სცნეს შემოქმედებითი კავშირის გაძლიერება და გაღრმავება რუს და ქართველ მხატვრებს შორის. საქართველოს მხატვართა კავშირმა ისევე როგორც მხატვართა ყოველმა შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მზადებას 1945 წლის გამოფენისთვისო.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა უახლოეს მომავალში მოაწყოს საქართველოს ცნობილ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა მოსკოვში და მოსკოვის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა—საქართველოში.

## საქართველოს ძველი დედაქალაქის ძეგლები

გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს ძველი დედაქალაქის—მცხეთის გრანდიოზული ძეგლების გასათხრელად და შესასწავლად. გათხრებს აწარმოებს აკადემიკოს ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის ორი ჯგუფი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტ აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას საერთო ხელმძღვანელობით. ერთი ჯგუფი განაგრძობს არმაზის ნეკროპოლის შესწავლას, მეორე — მუშაობს ბაგინეთის ნაკვეთზე, რაც 30 ჰექტარს შეიცავს და მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღლობზე მდებარეობს, — ზაჰესის წყალსაცავის პირდაპირ. ბაგინეთის სახელწოდება, რაც დღემდეა დაცული ხალხში, მეტად ძველი წარმოშობისაა და „საკერპეს" ნიშნავს (ბაგინს ძველ საქართველოში წარმართულ ტაძარს ეძახდნენ). აქ დაცულია ციხის კედლებისა და ბასტიონების მონუმენტურ ნაგებობათა და სასახლის ტიპის დიდ ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ფართო ხელოვნურ ტერასებზე მდებარეობენ, აგრეთვე კიბეების, წყალგაყვანილობისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები.

ორი თვის (ივლის-აგვისტოს) მუშაობის შედეგად ექსპედიციამ ქვედა ტერასაზე გათხარა უდიდესი მრავალნაწილიანი შენობა, რომელსაც 1.000 კვადრატიულ მეტრზე მეტი ფართობი უჭირავს და დიდი სადარბაზო შესასვლელი აქვს.

ბაგინეთის მწვერვალზე გათხრილია კლდოვან გრუნტზე აგებულ ნაგებობათა კედლებისა და კიბეების ნაწილები. ისინი გაოცებას იწვევენ თავისი მონუმენტალობით.

მაღლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობის თხემზე გათხრილია დიდი რთული ნაგებობა, რომელიც შეიცავს ბაქნებს, კიბეებსა და კედლებს. აქვე აღმოჩენილია თიხის მილებისაგან ნაგები წყალსადენის ტრასა.

გათხრილ ნაგებობათ ახასიათებს საგანგებო სიმკვრივე და მშრალი და კირხსნარზე ნაშენის ფუნდამენტალობა. სამოქალაქო ნაგებობათა კედლებს მეტრნახევარი სისქე აქვთ, დამცველ ნაგებობათა კედლებს — სამი და უფრო მეტი მეტრი სისქე.

საშენ მასალად გამოყენებული ყოფილა ჩინებულად გათლილი დიდრონი ქვის ფილები, სხვადასხვა ზომის გამომწვარი აგური, შეღებილი კრამიტი, აგრეთვე ხე. ერთმანეთზე მორგებული ქვის ფილები ოსტატურად არის დამაგრებული საგანგებო ფორმის კილოებით. ისინი მწვერვალებით ერთმანეთისაკენ მიმართულ ორ ტრაპეციას ჰგვანან.

ცალკეული საგნებიდან, რომლებიც იპოვნა ექსპედიციამ ბაგინეთში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზედა კიბის ერთ-ერთ საფეხურზე 23 აგვისტოს ნაპოვნი 22 ცალი ვერცხლის ფული, რომლებსაც ვარაუდით პირველ საუკუნეს აკუთვნებენ.

ისტორიულ ცნობათა ანალიზი და ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონაცემები გვაძლევენ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ბაგინეთში არსებობდა საქართველოს ძველი დედაქალაქის აკროპოლი.

ბაგინეთის უბნის გრანდიოზული ძეგლების მთლიანი აღმოჩენა და შესწავლა შუქს მოჰფენს ქართველი ერის შორეულ წარსულს.

## ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

დიდი რუსი მწერლის—მოიგავარაკის ივანე ანდრიის-ძე კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ გამოჰყო იუბილეს ჩამტარებელი კომისია შემდეგ პირთა შემადგენლობით: ლეო ქიაჩელი (თავმჯდომარე), ვიქტორ კუპრაძე, სიმონ ჩიქოვანი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, ოთარ ეგაძე, ნინო ნაკაშიძე, შალვა ნუცუბიძე, შალვა რადიანი, სერგო დანელია, აკაკი ვასაძე, მოსე თოიძე, გრიგოლ კილაძე, ალიო მაშაშვილი, გიორგი ჯიბლაძე (მდივანი).

ამ რამდენიმე დღის წინათ შესდგა საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლეო ქიაჩელის მოხსენება იუბილეს მოსამზადებელ ღონისძიებათა შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილებით—ი. ა. კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის შესრულების დღეს—1944 წ. 21 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო ორ განყოფილებად: ა) საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება „ი. ა. კრილოვის ცხოვრება და შემოქმედება" (რუსულ ენაზე) და თანამოხსენება ქართულ ენაზე "ი. ა. კრილოვი ქართულ ლიტერატურაში"; ბ) საკონცერტო სალიტერატურო განყოფილება, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი. ა. ი. კრილოვისადმი მიძღვნილი საღამოები მოეწყობა აგრეთვე საქართველოს ქალაქებსა და სარაიონო ცენტრებში.

თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრა მოიწვევს ი. ა. კრილოვისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. სესიის პროგრამასა და გეგმას ამუშავებს პროფ. ს. დანელია.

სახელგამს დაევალა იუბილეს დღეებისათვის ქართულ ენაზე 15 ფორმის რაოდენობით გამოსცეს ი. ა. კრილოვის იგავ-არაკების კრებული, რომელშიაც შევა, როგორც მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსების, ისე თანამედროვე ქართველ მწერალთა მიერ შესრულებული თარგმანები.

## მოთხრობები ლენინზე

უცხო ენებზე ლიტერატურის საბჭოთა გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ა. კონონოვის ცნობილი წიგნი „მოთხრობები ლენინზე". წიგნი გამოიცა ცამეტ ენაზე—მათ შორის, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე.

## სიკო ფაშალიშვილი

# მოსაკითხი—პოეტებს

### ალექსანდრე აბაშელს

მღეროდე—გულის ყველა უჯრედი
იქცეს ნაწილად მშობელ მხარისა,
რომ სულში იდგეს შუქი-უშრეტი
ჩვენი მზისა და ჩვენი მთვარისა.
უმღერდე ხალხის დიდებით მმოსავს,
აღმზრდელს, აღმდგენელ შრომას, შენებას,
ჩვენი დამხსნელი გენიის მოსვლას
და სამუდამო დღის გათენებას.
უმღერდე მტერზე გალესილ მახვილს,
რომ ფოლადს ჟანგი ვერ მოერიოს, —
რომ გამარჯვების ვაჟკაცურ ძახილს, —
შენი სიმების კილოც ერიოს.
მღეროდე ისე, რომ წელთა დენა,
გულს განახლების ცეცხლად მოედოს —
ამაზე დიდი ნატვრის ახდენა
ვის ეღირსება, ძმაო პოეტო!

### იოსებ გრიშაშვილს

მზის სხივში კოცნა ჩასწან შაირად,
ვარდის ღერში კი—ცრემლი და ღიმი, —
შენ სხვას არ ჰგავდი, შენ სხვანაირად
გააბი ჩანგზე მთრთოლვარე სიმი.
ჰანგს სიყვარული ჩაუდგი მკერდად —
ვით ულამაზეს ტანჯვის საგანი, —
ჩვენს თაობაში თუ ვინმე მღერდა,
შენც მღერდი—ერთი პირველთაგანი.
და მაგ სიმღერით შემოქარგული
ხმა—წელთა მწვერვალს გადააცილე
და წმინდა ცეცხლით მგზნებარე გული -
ხალხში ლექსებად დაანაწილე.
უგბილთა მტრობა, შური და კილვა,
შენს ლაღ ოცნებას ვერ სდებდა ლაქებს,
და შენ შესძელი ახალ მზის ხილვა —
როგორც პოეტმა და მოქალაქემ.
ძმაო პოეტო, სხივდანამშვენი
გალხენდეს ახალ ვარსკვლავის კრთომა
დიდმა სამშობლომ დალოცა შენი
კალამი, ჩანგი, ღვაწლი და შრომა.

# ერთი ლექსის ისტორია

1903 წელს 17 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე მეფის ჯალათმა ტყვიით გაუგმირა გული მეტეხის ციხის საკანში ფანჯარასთან მდგომ მგზნებარე რევოლუციონერს ლადო კეცხოველს.

1904 წელს, ლადო კეცხოველის მკვლელობის წლისთავზე, გაზეთმა „ივერიამ“ მოათავსა პოეტ ბეგლარ ახოსპირელის*) გაბედული, თვითმპყრობელობისადმი ზიზღის გამომხატველი შემდეგი ლექსი, მიძღვნილი უდროოდ დაღუპულ გმირ ლადო კეცხოველისადმი.

კ-ლს

ნუ შემიბრალებთ... დევნა, გვემა მსურს,
ვით ბედით კრულს ძეს ისრაელისას!
შხამ-გესლი მრავლად დააპკურევით
თითოეულს წვეთს ჩემის ცრემლისას.
მინდა საზაროდ კვნესოდეს ჩანგი,
ვიდრემდე ვუმზერ წამებულს შვილებს,
მინდა ვუმღერდე მწუხარე ჰანგსა
უდროოდ მკვდართა შთენილს აჩრდილებს.

—:—

ამ უკუღმართ და მუხთალ სოფელში,
სადაც სიმართლეს სტანჯვენ და ჰკლავენ
სად ფარისეველს თაყვანსა სცემენ,
ჭეშმარიტებას ჯვარზე აკრავენ,
სად ფული მეფობს, ხოლო გონება,
ფეხით გათელილ, დათრგუნვილია.
აი, ამ ალაგს... იბრძვის მარადის
ვინც კი ცხოვრების ღირსი შვილია.
და ჩემი გმირიც აკი იბრძოდა,
ტალღით ტალღაზე გადადიოდა!
ჭეშმარიტების გამომწვეველი
მისი საყვირი შორს გაჰკიოდა!...
გაწამებული ვით ალასთერი,
ეწყვეტებოდა კიდიდან კიდეს...
ხოლო მტარვალთა ამა ქვეყნისა
ფეხით გასთელეს... მოჰკლეს, მოსწყვიტეს
მისსა სიცოცხლეს... ოჰ, მეგობარო!
შენ არა ჰგავდი იმ ფარისევლებს,
რომელნიც თუ კი ამაღლდებიან,
ყოველ ადგილას დაღვრიან ცრემლებს.
მოვა დრო, ველსა ქარი დაჰბერავს,
მწუხრი მოიცავს მთლად არე-მარეს;
შავი ღრუბელი გადეფინება
ლურჯსა კამარას, შენებრ მდუმარეს,
ჭექა-ქუხილი ასტყდება ქვეყნად,
გადილეწება ხუნდი, ბორკილი!
და ხალხის გულში კვლავც გაცოცხლდება
პირველი მსხვერპლი, ცხოვრების შვილი.

ლადო კეცხოველი, როგორც სჩანს, ჟანდარმერიისათვის საშიში იყო არა მარტო სიცოცხლის დროს, არამედ სიკვდილის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ახოსპირელის ლექსის სათაური გაუხსნელი იყო, თბილისის ოხრანკის დაგეშილმა აგენტებმა გამოიცნეს იგი.

აღნიშნული ლექსი გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა 1904 წ. 10 ოქტომბერს, ხოლო თბილისის ოხრანკის უფროსმა უკვე 16 ოქტომბერს მთავარმართებლის კანცელარიას სასწრაფოდ გაუგზავნა შემდეგი საიდუმლო მიმართვა:

„მის აღმატებულებას კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიის ბატონ დირექტორს.

„მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ ა. წ. 10 ოქტომბერს №232 თბილისის ქართულ გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულია ლექსი... სათაურით „კ-ლს“, მიძღვნილი გასულ წელს მეტეხის ციხეში მოკლულ პოლიტიკურ დამნაშავის ლადო კეცხოველისადმი. ავტორი აღნიშნული ლექსისა „ბ. ახოსპირელის“ ფსევდონიმით აგენტურის ცნობებით არის ქართული თეატრის სუფლიორი ბეგლარ ბეგლარის-ძე“ (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი. ფონდი 37, საქმე 7, ფურც. 58). ამ მიმართვას დართული აქვს აგრეთვე ლექსის რუსული თარგმანი.

ამ ცნობით შეშინებულმა მთავარმართებელმა 21 ოქტომბერს კონფიდენციალური მიმართვა გაუგზავნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს გაკელს და მოსთხოვა აღნიშნულ ლექსზე ყველა ცნობა და თავისი დასკვნა.

საცენზურო კომიტეტმა თავი გაიმართლა იმით, რომ არ დაეთანხმა ოხრანკის მიერ ლექსის რუსულად თარგმნილ ტექსტს, მან სასწრაფოდ გადასთარგმნა ლექსი და თან დაურთო ახსნა-განმარტებითი ბარათი მთავარმართებლის კანცელარიისადმი. ამ მიმართვაში საცენზურო კომიტეტი სწერს, რომ ოხრანკის მიერ თარგმნილ ტექსტში „აღმოჩნდა არსებითი შეცდომები და ზოგ ადგილებში აზრი დამახინჯებულიც კი არის“ (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ, თბილისის ფილიალის არქივი, ფონდი 37, საქმე 7, ფურც. 59.) შემდეგ საცენზურო კომიტეტს მოჰყავს ოხრანკის თარგმანის ის ადგილები, რომლებსაც არ ეთანხმება. ამავე მიმართვაში საცენზურო კომიტეტი შემდეგნაირად აცნობს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას ბ. ახოსპირელის ვინაობას. „ლექსის ავტორი ახოსპირელი ცნობილია ახალ ქართულ ლიტერატურაში, როგორც ნიჭიერი ლირიკოსი, მწუხარე და ელეგიური მოტივების მომღერალი. ელეგიაში, რომელიც მიძღვნილია უცნობ „კ-ლს“-სადმი გამოხატულია მხატვრული ფორმით და მჟღერი რითმით ავტორის სულიერი განწყობილება—ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული, ნაღვლი ალასთერის მსგავს ვიღაც მოხეტიალის სიცოცხლის დაღუპვის გამო და ბუნდოვანი ოცნებები მომავალი ცხოვრების შვილის მეორედ მოსვლაზე, რომელმაც უნდა დაამსხვრიოს რაღაც ჯაჭვი. ასე გაიგო ეს პოეზია ცენზორმა — დასძენს საცენზურო კომიტეტი და განაგრძობს, — ასეთი სახის სამწუხარო გამოთქმები ყოველთვის ნება დართული იყო ცენზურის მიერ და თუ ასეთი სახის ლიტერატურულ ნაწარმოებთ დავუწყებთ დევნას და ცენზურით აკრძალვას, მაშინ მოგვიხდება ხმარებიდან ამოღება ნეკრასოვის, ნადსონის და სხვა მრავალი რუსი და უცხოეთის მოქალაქობრივი მწუხარების მომღერალთა ნაწარმოებების დიდი ნაწილისა. თავისთავად გასაგებია, რომ ცენზორისათვის არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო აგენტურის გზით გაგებული ბიოგრაფიული ცნობები, თუ ვისამდიც არის მიმართული ლექსი და თვით ლექსის ავტორის საზოგადოებრივი მდგომარეობა“. (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფონდი 37, საქმე 7, ფურც. 59).

ასეთი დიდი აფორიაქება და შიში გამოიწვია თვითმპყრობელობის მოდარაჯეთა შორის „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილმა ლექსმა.

**ნინო სტეფანიშვილი**

*) ბეგლარ ახოსპირელი, იგივე ბეგლარიძე დაიბადა 1880 წ. ქ. თელავში. მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ემსახურებოდა ქართულ პოეზიას და ქართულ თეატრს. პოეზიაში იგი გულწრფელად უმღერდა ღარიბ-ლატაკთ, ბედისაგან ჩაგრულებს, რომელთა გამარჯვების იმედით არის აღვსილი მისი ლექსები.

## ნიკო გვარაძე

რესპ. დამსახურებული არტისტი

# ვალერიან გუნია

მიმდინარე წლის აგვისტოში ექვსი წელი შესრულდა ვალერიან გუნიას გარდაცვალებიდან. მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა, განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში თეატრალური ცხოვრების აღორძინება მის სახელთან არის დაკავშირებული, რასაც ცხადჰყოფს თუნდაც მის მიერ 1914-15 წ. სეზონის ორგანიზაცია ქუთაისში.

1914-15 წ. სეზონში ვალერიან გუნიამ მოლაპარაკება გამართა ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობასთან, რის შემდეგ ქუთაისის თეატრს ჩაუდგა სათავეში.

ვალერიან გუნია თეატრალური საქმის ორგანიზაციაში დიდათ გამოცდილი ხელოვანი იყო და სულ მალე, იმ დროინდელი საუკეთესო ძალები დაითანხმა და ქუთაისში წაიყვანა. დასში მოიწვია რეჟისორებად ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი; მსახიობებად: ტასო აბაშიძე, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, მ. ქილარჯიშვილი, მარო მდივანი, დ. მგალობლიშვილი, მ. გელოვანი, გ. იმხნელი, ან. მურუსიძე, ნ. ციციშვილი, დ. აბდუშელი, პ. ფრანგიშვილი, მ. თუხარელი.

მე ამ დროს ფოთში ვიყავი მიწვეული რეჟისორად, მაგრამ დავიწყეთ რეპეტიციები თუ არა, სწორედ ამ დროს ფოთს გერმანელებმა ყუმბარები დაუშინეს. შავი ზღვის სანაპიროებიდან მცხოვრებლები გადახიზნეს. ქუთაისში ჩავედი თუ არა ვ. გუნიამ თავის დასში ჩამრიცხა. ქუთაისს აუარებელი ხალხი მიაწყდა; სოხუმის, ბათუმის და ფოთის ქართველობამ ქუთაისში მოიყარა თავი.

ვალ. გუნიამ ამით ისარგებლა და კვირაში ორი წარმოდგენის ნაცვლად სამსა და ოთხს მართავდა. ბევრი პიესა დაიდგა და შემოსავალიც დიდი იყო. დასის სამივე რეჟისორი აქტიორებიც იყვნენ, მთავარ როლებს ასრულებდნენ. ვლ. მესხიშვილმა მთელი თავისი რეპერტუარი ითამაშა. ვ. გუნიაცა და ვ. შალიკაშვილიც ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ და ამავე დროს პიესებსაც სდგამდნენ. თითო პიესას ორი-სამი რეპეტიციით ვამზადებდით. ხშირად წარმოდგენის შემდეგ ღამის ორ საათამდე რეპეტიციებზე ვრჩებოდით. გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1914 წლის 27 ნოემბრის ნომერში სწერდა: „წარმოდგენებით ასეთი მრავალრიცხოვანი და ქონებრივად ასეთი მდიდარი სეზონი, მგონი სრულებით არ ახსოვს ქართული თეატრის ისტორიას... ორი თვის განმავლობაში გაიმართა 35 წარმოდგენა, მაშასადამე თვეში 17 წარმოდგენა, რაც უმაგალითოა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში.“

მართლაც, ასეთი ინტენსიური და გამალებული მუშაობა იმ დროინდელი სეზონისათვის, პირდაპირ უჩვეულო იყო. ასეთ მუშაობას სული ჩაუდგა ვალერიან გუნიამ. ქართულ თეატრს ჰყავდა მაღალ ნიჭიერი მსახიობები, გამოცდილი რეჟისორები, მაგრამ ვ. გუნიას ბადალი თეატრის საქმის ორგანიზატორი და დასის ხელმძღვანელი იმ დროს ქართულ სცენას არავინ ჰყოლია.

ვ. გუნიამ შემოიღო გამოსაცდელი წარმოდგენები, რამაც ქართულ სცენას არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი შესძინა. ვალ. გუნიას ყოველ სეზონში ქართულ სცენისათვის სამი-ოთხი პიესა მოჰქონდა. რეპერტუარის სიმშილის დროს ვ. გუნიას პიესები დიდ სამსახურს უწევდნენ ქართულ თეატრს. მის კალამს ეკუთვნის ისეთი პიესები, რომელნიც მთელი ოცდაათი წლის მანძილზე შერჩნენ სცენას: „და-ძმა, „აღლუმი“, „ციხის საიდუმლო“, „ორი გმირი“, „სიძე სიმამრი“, „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, „ძალა აღმართსა ხნავს“, „რაც არ მერგება, არ შემერგება“, „არც აქეთ, არც იქით“, „ხოლერობა“, „ზოგი ჭირი მარგებელია“, დარღვეული კერა“ ოპერა „დაისის“ ლიბრეტო და სხვა აუარებელი ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები.

ვ. გუნია დიდად მშრომელი ხელოვანი იყო და თეატრის ყოველ მუშაკისაგან ამასვე მოითხოვდა.

ვალ. გუნია სცენაზე გამოვიდა 1882 წელს პიესაში „მეფე და პოეტი“. მასთან ერთად დაიწყო მსახიობობა დავით აწყურელმა. ამისგან გამიგია, რომ თურმე ვალ. გუნია ისე აღელდა სადებიუტო წარმოდგენის წინ, რომ აღარ უნდოდა სცენაზე გასვლა, მერე როგორც იყო ამხანაგებმა დაარწმუნეს,—სირცხვილია ასეთი საქციელიო და აიძულეს სცენაზე გასულიყო.

ვალ. გუნია, სწავლობდა თბილისის რეალურ სასწავლებელში. მოწაფეობიდანვე გატაცებული იყო მწერლობით.

ვ. გუნია სამი ოთხი წლის განმავლობაში რედაქტორობდა ყოველდღიურ გაზეთებს „ივერიას“ და „ცნობის ფურცელს“.

როგორც მსახიობი, ის ყოველგვარ ხასიათის როლებს თამაშობდა, მას ამპლუა არ სწამდა. ერთ დღეს რომ „ოტელოს“ თამაშობდა, მეორე დღეს ვოდევილში „არც აქეთ არც იქით“ უმნიშვნელო როლს ასრულებდა. მას მაინც უფრო უხდებოდა დრამატიულ რეზონიორების როლები. ვ. გუნიას საყვარელი სცენიური სახეები იყო: ოტელო, მეფე ლირი, სარდალი ვაჩნაძე, ოთარ ბეგი, გრაფი ტრასტი, საყვარელიძე („სიძე-სიმამრი“). ბალავინი („უბედური ნაბიჯი“), ბერსენიევი („ღვევა“).

ვ. გუნიას ჰქონდა სცენისათვის მშვენიერი ხმა, ლამაზი სახე და ვაჟკაცური გარეგნობა. ოთარ-ბეგი და ოტელო მისი საუკეთესო როლები იყო და ხშირად გამოდიოდა კიდეც ამ როლებში. როგორც რეჟისორი ის თავის გემოვნებით და ნებისყოფით გამოირჩეოდა. მას რამდენიმე სეზონი, როგორც რეჟისორს და დასის გამგეს სხვის დაუხმარებლად წარუმართავს და ბრწყინვალედ დაუმთავრებია კიდეც.

ვ. გუნია თეატრში მუშაობდა, როგორც მსახიობი, დრამატურგი, რეჟისორი, დასის გამგე. არასოდეს არ იტყოდა დავიღალეო, მართლაც რომ უჩვეულო ენერგიით აღსავსე მოღვაწე იყო. 1917 წელს მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ მას დიდი ამბით გადაუხადა 35 წლის იუბილე. საბჭოთა მთავრობამ ვ. გუნიას მიანიჭა სახალხო არტისტის სახელწოდება. ქართული თეატრის ისტორია მუდამ დიდის პატივით მოიხსენიებს სცენის ამ სამაგალითო მოღვაწისა და მაღალნიჭიერი მსახიობის სახელს.



# ახალი წიგნების განხილვა

## ალექსანდრე ქუთათელი

## ს. ჩიქოვანის „ჩემი მამული“*

როგორ იბადება პოეტური სახე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავარჩიოთ „მღელვარე შენობის“ პოეტური აღნაგობა. პოეტი მარქს-ენგელს-ლენინის სახელობის ინსტიტუტს „მღელვარე შენობას“ უწოდებს. ეს სახე რთული პოეტური წარმოსახვის შედეგია. აი, წარმოსახვის როგორი რთული გზა გაიარა პოეტმა, სანამ ამ სიმბოლიურ სახეს მიიღებდა. ინსტიტუტი ბოლნისის ქვისაგან არის ნაგები. ხოლო ბოლნისის ქვა ბუნებრივი ჯავარით არის შემკული. ამ ქვის წარმტაცი ჯავარი თვალსა სჭრის ავტორს, იგი ამბობს:

„მაგრამ ამ ქვების მშვენებით ვიწვი“.

ეს ხედვითი შეგრძნება თავისებურ ბიძგს აძლევს მის პოეტურ წარმოსახვას. ბოლნისის ქვის ერთერთ დამახასიათებელ დეტალისაგან „ჯავარისაგან“ პოეტი ეპიტეტსა ჰქმნის: „ბოლნისის ჯავარიანი ქვა“. ჯავარი ტალღის მიმოქცევას და გაქანებას ემსგავსება მის წარმოდგენაში და ახლა ის მხატვრულ შედარებას, მეტაფორას ქმნის: „ბოლნისის ქვის ჯავარი ტალღის მიმოქცევას ჰგავს“:

„და მიმოქცევა მღვიძარი ტალღის
გამოხატულა ბოლნისის ქვაზე“.

ჩიქოვანი განაგრძობს პოეტური წარმოსახვის გზით მსვლელობას და მეტაფორას უფრო ფართოდ შლის: ბოლნისის ქვის ჯავარი ტალღის მიმოქცევას ჰგავს, ხოლო ტალღის მიმოქცევა კი ზღვის ღელვას, ხალხის გაქანებას და გრიგალს:

„ქვას შეუნახავს გრიგალი ხალხის,
ღელვაც უნახავს პირველად ზღვაზე...“

მაგრამ ამ ქვისაგან, რომელსაც ტალღის მიმოქცევის, ხალხის გაქანების, გრიგალის და ზღვის ღელვის მსგავსად ახატული ჯავარი ამკობს, აშენებულია ზემოდაღნიშნული ინსტიტუტი, ამიტომ ბოლნისის ქვის ჯავარი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური მოძღვრებით შეიარაღებული და მებრძოლი ხალხის გაქანებასაც ემსგავსება აგრეთვე პოეტის წარმოსახვაში. ახლა ჩიქოვანი უფრო ფართო, გაშლილ მეტაფორას ქმნის და ინსტიტუტის მთელი შენობა იღვიძებს, ცოცხლდება და უკვე დამთავრებულ რთულ სახედ (ხატად) იქცევა:

„ნატიფ დარბაზში მღელვარებს ფიქრით,
ოთხი ოსტატი ოთხივე ბრძენი,
არწივებივით კედელზე მიჭრის
ოცნებანი და ბრძოლები ჩვენი.
ხალხში გადგმულა ფესვები მისი,
აღვიძებს მიწას სიბრძნის ნაყური
და ჩვენი ქვეყნის გალობად ისმის
ქვაზე მქროლავი ტალღის ტლაშუნი“.

ამრიგად ერთი უბრალო დეტალი: ბოლნისის ქვის ჯავარი, ჩიქოვანის ხელში, ალეგორიულ-სიმბოლიურ და რთულ პოეტურ სახედ იქცევა, ეს სახე გახლავთ: „მღელვარე შენობა“.

ასე იქცევა, აგრეთვე სერაფიტა ძველი საქართველოს უკვდავების, მარად უჭკნობი სულისა და სილამაზის სიმბოლოდ და ხატად „არმაზის აჩრდილებში“. ასევე იქცევა ვარძია, თმოგვის ციხე და მისი მიდამოები — მესხეთი რუსთაველის სამშობლოს სიმბოლოდ და ხატად წიგნში: „აქ ვეძებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად“.

ვარძიასა და თმოგვის ციხის მიდამოებში პოეტს ყოველ ნაბიჯზე რუსთაველი და მისი „ვეფხის ტყაოსანი“ აგონდება, როგორც ძველი საქართველოს დიდების გვირგვინი:

„როგორც რუსთ ველის ერთი სტრიქონი,
ვარძიის წყარო კამკამი ვნახე“.

ან კიდევ:

„როგორც ჩესტანის ნაზი უსტარი,
ტბა ჩარჩენილა მაღლობში ობლად“.

აქ ლაპარაკია წუნდას ტბაზე, რომლის ხილვისას პოეტს ძველი საქართველოს გარდასული დიდება აგონდება და კაეშნით სავსე სტრიქონებით ეგებება ტბაზე გამეფებულ მუდმივსა და გამოუთქმელ წამებით სავსე დუმილს. იგი ასე მიმართავს რუსთაველს:

„და ტურფა ვეფხიც აქ შეგეფეთა...
ეგებ ეს ტბაა შენი გულისთქმაც,
სახე შეცვლილი ეხლა ამგვარად
იქნებ შიგ სძინავს მგოსნის ოცნებას“.

და ბოლოს:

„თმოგვის ციხიდან მტკვარი ეჟვნებით
მოჰქრის და წვება ქართლის რიყეზე...
„თითქო გადააქვს ხმა რუსთაველის
საუკუნიდან საუკუნეში“.

ამრიგად ჩიქოვანს, ისე როგორც თითქმის ყოველ ქართველს, რუსთაველი მესხეთის განუყრელ მკვიდრად მიაჩნია და, ამიტომ მასაც ეს უკვდავი პოეტი ფეხის ყოველ გადადგმაზე აგონდება. ეს გასაოცარი გრძნებაა ყველგან და ყოველთვის, ყოველ საგანში და მოვლენაში რუსთაველის სულის ხილვისა. რუსთაველის პიროვნების დაჟინებითი ხელშეხება და მისი ჩვენება ისე სჯერა ავტორს, რომ იგი, შესაძლოა, დიდებული პოეტის ნამდვილი ხილვითაც კი დამთავრდეს და, მართლაც, ასე ხდება თითქო:

„შენი შაირით ტალღაც აბოდებს,
წყლის ზედაპირზე მოდიხარ თითქო“.

აკვირდები ამ და სხვა ლექსებს და ნათლად გრძნობ ჩიქოვანის შემოქმედების ერთ გარკვეულ თვისებას. ყოველ იდეის, თემის, ადამიანის, მოვლენის და საგნის გამოკვეთისას, პოეტი ჯერ „სურათსა“ ხატავს და მერე სიტყვების საშუალებით გვითარგმნის მას და ლექსად გვიწერს. „მღელვარე შენობის“ სერაფიტას, რუსთაველის თუ თეიმურაზ პირველის და სხვათა სახის ორიგინალის შემეცნებამდე და მის ხილვამდე, რომ მივაღწიოთ, ჯერ მხატვრობის გზით უნდა ვიაროთ ჩიქოვანთან ერთად. პოეტი მათ ნათელ სურათს, დამახასიათებელ გარემოცვისა და ბუნების ფონზე ხატავს. ასეთ მეთოდთან გვაქვს საქმე აგრეთვე, მშვენიერ ლექსში: „თოვლი“. იგი „მღელვარე შენობის“ მეთოდით არის დაწერილი.

პოეტი ჯერ ერთი ხაზის მოსმით აგვიწერს ზამთრის სურათს—პეიზაჟს და ამბობს:

„ვარსკვლავთა მსგავსი თოვლის ფიფქები
მე მეცემოდნენ დათოვლილ გზაზე“

იგი ჩააცივდება ამ დეტალს „ვარსკვლავთა მსგავს თოვლის ფიფქებს და ფანტელს“, ისე როგორც ბოლნისის ქვის „ჯავარს“, იგი მიმართავს სატრფოს თუ მეგობარს და ეუბნება:

„მინდოდა ფიფქი მე შემენახა,
ან ხელის გულზე დამესვა კარგი.
შენთვის მომეძღვნა და შენ გენახა
როგორ კანკალებს ვარსკვლავის თარგი...
მინდოდა მეთქვა დახედე ვარსკვლავს,
რა კარგი არის და რა კრიალა!
ჩემს თმას ამგვარი ჭაღარა ახლავს
და გულს ამგვარი ტრფობის იარა.
მაგრამ როს ფიფქებს ვიჭერდი პეშვით, —
თბილ ხელის გულზე დნებოდნენ წამსვე.
ვერ მოგიძღვენი ბუნების ეშხი
და გულნაკლული დავბრუნდი ასე,
დავბრუნდი შინ და მართლაც ვინანე,
რად არ გამომყვა თოვლის ფანტელი.
შენს სულში ჩაწვა მწუხრის სინაზე,
ჩემს სულში თოვლის კორიანტელი“.

თოვლის საამური ფანტელი ვარსკვლავთან არის შედარებული, ხოლო თბილ ხელისგულზე გამდნარი თოვლის ვარსკვლავები, ბედის ვასკვლავებთან, იმედებთან რომლებისაკენაც ისწრაფოდა პოეტი.

ალეგორიული და სიმბოლიური პოეზიის მხრივ სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს „ნიავარის საფერფლე“ და „ძველი საათი“. ესენიც „მღელვარე შენობის“ მეთოდით არის დაწერილი.

ჩიქოვანის პეიზაჟები ხშირად ზოგადი ხასიათისაა. ყველაზე თვალნათლივ ეს წელიწადის ოთხი დროს დახატვისას ცნაურდება. ამ შემთხვევაში, ჩვენი პოეტის ფანტაზია არის არა მარტო მხატვრისა, არამედ მოაზროვნისაც. იგი ალეგორიებს მიმართავს. მაგალითად, ლექსში „ბაბუა“, ზამთარი ნაძვის ხეზე დაკიდებულ ბაბუაშია ობიექტირებული და ავტორი ამ ხერხით, და ბაბუას პორტრეტის დახატვით, იძლევა ზამთრის პეიზაჟს. ავიღოთ ზამთრისა და ზაფხულის პეიზაჟი „სიმღერიდან დავით გურამიშვილზე“. აქაც ზოგადი და ნაცნობი სურათია მოცემული ზამთრისა და ზაფხულისა, სადაც მსგავსად გურამიშვილისა, წელიწადის ორი დრო გარდაქმნილია ორ ცოცხალ ძალად. მათ შორის გამართული ბრძოლა-ჭიდილი ცოცხალ არსებათა და ადამიანთა შორის გამართულ ბრძოლის ალეგორიულ სურათს მოგვაგონებს:

„ზამთარს მოჰქონდა ტახტი ყინულის,
ზაფხულს ნამგალი პირმოპირული.
დავითმა სარკმლით ნახა ავდარი,
როგორ დაესხა ზაფხულს ზამთარი“...
„მაგრამ მივარდა ზაფხული ჯიქა,
სულ მიუმსხვრია ჰურჭელი ჭიქის“..
„კვლავ გამოიღო ოსტატის მკლავი,
კვირტს აუხილა დროებით თვალი“.

და შემდეგ:

„ააღურტულა მერცხლები ბუდით,
და დაიხურა ჭილოფის ქუდი“.
(„სიმღერა დავით გურამიშვილზე“)

ზამთარ-ზაფხულის ბრძოლის სურათი გურამიშვილის პოემის „მხიარული ზაფხულის“ ცნობილი ლექსის პერიფრაზს წარმოადგენს:

„ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული
ზურმუხტის ტახტზე დაჯდა ზაფხული“...

ამრიგად, ზამთართან ბრძოლაში გამარჯვებული ზაფხული ჩიქოვანის მიერაც ცოცხალ არსებასთან — „ოსტატთან“ არის შედარებული. იმ ოსტატს — ზაფხულს, ადამიანის მსგავსად, თავზე ჭილოფის ქუდი ჰხურავს, ხოლო გურამიშვილის ლექსში კი ზაფხული ზურმუხტის ტახტზე ზის. ზაფხულის და წელიწადის სხვა დროთა წარმოდგენა ცოცხალ არსებად, ახალი არ არის მსოფლიო ლიტერატურაში. მაგალითისათვის იგივე თეოფილ გოტიე ავიღოთ, რომლისათვის წელიწადის ოთხი დრო კვარტეტს წარმოადგენს, კერძოთ ზამთარი კი არიების შემსრულებელ ბებერ მემუსიკე-დამკვრელად იქცევა:

„მსგავსად გენდელის,
ვისაც დარხეულ პარიკიდან სცვიოდა
ფქვილი, —
ის იბერტყავდა თოვლს თვის კეფიდან,
მას რომ პუდრივით გადაჰფენოდა„.
(„მინანქრები და კამეები“.).

როგორც გურამიშვილის და თეოფილ გოტიესი, ისე ჩიქოვანის პეიზაჟიც ალეგორიულია, და წელიწადის დრო ცოცხალ არსებაში და ადამიანში ობიექტირებული.

ხშირად ჩიქოვანი თავისი მოსაზრების ან თავისი გმირის განწყობილების საილუსტრაციოდ ხატავს სურათს. ავიღოთ, მაგალითად, ფარშავანგის გაშლილ ბოლოსავით აჭრელებული და ფერიული ფერებითა და საღებავებით მოცემული მშვენიერი სურათი შემოდგომისა „თეიმურაზ პირველში“.

ხილთა, ფრინველთა და მცენარეთა ჩამოთვლის შემდეგ იწყება ფერების რიალი:

„თან ყვითელს, წითელს, ქარვას და ხაშხაშს
გააქვს ყრუოლა და იწვის საფირი“.

და ეს ხილთა, ფრინველთა და აჭრელებულ ფერთა ჩამოთვლა, ავტორს იმისთვის დასჭირდა რომ:

„თვალებს აუმღვრევს გადმომდგარ ვაჟკაცს
ჭრელი ფოთლები და ცის ნაპირი“.

და მაშინ თეიმურაზი ბუნებას:

„ესვრის შირაზში დაჭედილ შაირს;
შენ, შემდგომავ, ხოტბანი გითხარ,
რისთვის მიჭრელებ თვალებს და ჰაერს“!

ხშირად რეალისტი მხატვარი ებრძვის იმპრესიონისტს, მაგრამ ორივე შემთხვევაში, იგი კარგად ხატავს ბუნებას და ყოველ საგანს. აი ავტორი მტკვარს მოჰყვება დასაბამიდან და ამბობს:

„ჟანგმოდებული და ჟანგისფერი,
პირველყოფილი და მოსაწყენი,
მთები მოგვსდევენ, მაღლით დაგვცქერის:
ვარძიის კლდე და შავი აწყვერი“.

მტკვარი ქალაქში შედის და პეიზაჟი უმალ იმპრესიონისტულ იერს იღებს:

„კრთიან სახლებიც კალიებივით,
და გადმომსხდარან მთებზე სახლები
კარებგაღებულ გალიებივით“.
(„მდინარის შემოსვლა“).

ასეთივეა, ჩიქოვანის მიერ დახატული თბილისის პეიზაჟი წვიმის შემდეგ:

„სახურავები, როგორც ფარები,
ომგადახდილნი რჩებიან სუფთად“.

ან კიდევ:

„და მდინარეზე სახლნი მავალნი“.
მთასვლელებივით შეისვენებენ“.
(„ნაწვიმარი“).

ეს ხედვითი შეგრძნობის ნიადაგზე მიღებული ალეგორიული, ზუსტი და მშვენიერი სურათებია, რომლებშიაც ორიგინალური ფანტაზიის მქონე მხატვრის თვალი სჩანს. ავტორს, მხატვრის თვალთან ერთად, ისტორიის გრძნობაც აქვს გამახვილებული. ამას შემდეგი ლექსები მოწმობენ: „თეიმურაზ პირველი“, „თათართა შემოსევა“, „გვანცა“, „საბა, კრემლი და გორის ციხე“, საერთოდ კი — მთელი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. წარსულიდან აღებული სურათები დიდის გზნებით არის შესრულებული:

„და მონგოლების ლაშქარს მოწოლილს,
მოაქვს აზიის ტრამალის სიცხე“...
„და შავ მერნებით მიჰქრიან ურდოს
შოთა კუპრი და ულუ დავითი“.

ჩიქოვანის წიგნში უცხოური და მშობლიური პოეტების გავლენა იგრძნობა: ერთის მხრივ ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისა და მეორეს მხრივ გურამიშვილის, ვაჟას, ბარათაშვილის და სხვათა.

ჩიქოვანი გურამიშვილის, ბარათაშვილის და ვაჟას მემკვიდრედ თვლის თავს და მათი ფიქრების, გრძნობა-განცდების თანაზიარობით და მათი პოეზიის შთაგონებით ამაყობს.

ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკისა და ვაჟას ჰეროიკის და ბუნების „გაღმერთების“—პანთეიზმის კვალი უთუოდ შესამჩნევია ჩიქოვანის პოეზიაში. ჩვენ არ შევუდგებით ბარათაშვილზე და ვაჟაზე ჩიქოვანის მიერ დაწერილ საგულისხმო და კარგ ლექსების ანალიზს, ჩვენ გურამიშვილი უფრო გვაინტერესებს, რომელსაც მთელი ეპოპეა უძღვნა ჩიქოვანმა: „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ჩიქოვანი ამბობს:

„გურამიშვილის და ვაჟას დარი,
სიმართლის მთქმელი მე ვარ მესამე,
მათთან ყანები მქონდა ზიარი
და მათი უღლით ბევრჯერ ვეწამე“.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ გურამიშვილის ბიოგრაფიის მხატვრული ილუსტრაცია როდია, არამედ თვით ავტორის—ჩიქოვანის სულის აღსარება. „სიმღერაში“ გურამიშვილი მხოლოდ სახეა (ხატი), რომელშიაც ობიექტირებულია ავტორის სული, მისი ფიქრი, გრძნობა და განცდები, მთელი მისი პოეზია. გურამიშვილის ცხოვრება ჩიქოვანმა თავისი გულის წიაღიდან ამოღებული ხმით გვიმღერა. საქართველოს წარსულის სიყვარულმა, ერთის მხრივ, და თანაც, აზრობრივ პოეზიით გატაცებამ მიიყვანა, აგრეთვე ჩიქოვანი გურამიშვილამდე და მისი ფენომენის ასახვამდე. „სიმღერაში“ ჩიქოვანი გვევლინება არა მარტო როგორც უშუალო შეგრძნების მქონე პოეტი და მხატვარი, არამედ როგორც მოაზროვნე და ისტორიის მოყვარულიც.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ არ არის ერთ გარკვეულ სიუჟეტურ ღერძზე აგებული, მაგრამ ამ ნაწარმოებში შემავალი მრავალი ლექსი ერთი მთავარი და ძირეული იდეითაა გამსჭვალული. შესავალი „გურამიშვილის სურათზე“ და ფინალი „მინაწერი“, სავსებით აშუქებს ჩიქოვანის განზრახვას და დედააზრს. შესავალში ავტორი გურამიშვილს მიმართავს და ეუბნება: განახლებული საბჭოთა საქართველო ბედნიერი ქვეყანაა, ჩვენ სამშობლოში დაიბადა ხალხთა ბელადი და მთელი ქვეყნის გმირიო. გურამიშვილის სევდა, გლოვა და მწუხარება ქართლის ჭირის გამო წარსულს ეკუთვნის. ასეთივე აზრს გამოსთქვამს ავტორი ფინალშიც—„მინაწერშიც“, იგი გურამიშვილს ასე მიმართავს: ქართველი ხალხი ახლა თავისუფალია და ბედნიერი, რუს, უკრაინელ, ქართველ და სხვა ხალხთა შორის ძმობა და ერთობა სუფევს. შენ რომ ჩვენი ხალხის ახლანდელი ვითარება გენახა, დიდათ გაიხარებდი და სოფლის ამაოებას ველარ იტყოდიო.

როდესაც ჩიქოვანი თავისი ქვეყნის წარსულ ისტორიას, პოლიტიკურ და სოციალურ ყოფას, თავისი ქვეყნის და მისი შვილების, კერძოდ გურამიშვილის უბედურებას გაეცნო, ჩაწვდა და ასახა, მის ლექსებში ნამდვილი პოეზიის ხმა გაისმა. მან დიდი მხატვრული ძალით უმღერა ხალხთა ძმობას, ჰუმანურ მოწინავე იდეებს და შრომას, იგი მშვენივრად გადმოგვცემს დავითის ტრაგიკულ ცხოვრებას, მის განაწამებ სულის ისტორიას. იგი ცდილობს ქართლის და უცხოურ ქვეყნის ბუნებისა და ხალხის ასახვასაც და უხვად ხარჯავს ფერებს. თუმცა, ეფექტი ამ მხრივ ხანდახან არა რელიეფურია. მაგრამ მე ჩიქოვანის შემოქმედებაში უჩვეულო რამ მოვისმინე—გულის სიღრმიდან ამოღებული ხმა. ეს ხმა გულისა, უშუალო პოეტურ ჭვრეტის და სულის აღმაფრენის გამო, ხშირად ლოცვას, ღაღადისს და სიმღერას უახლოვდება. ეს უთუოდ ახალი, ძლიერი ნაკადია ჩიქოვანის პოეზიაში, და პოეტს, რომელსაც მანამდე ალაგალაგ მელოდიურობა აკლდა და უშუალო გრძნობების გამოთქმა ეძნელებოდა,—ახლა შინაგანი სულიერი მღელვარების გამო, თავისი პოეზია ლოცვამდე და სიმღერამდე აჰყავს. მაგალითად: „გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო“, „გუგულები“, „უცნაური სურვილი“ და სხვა. ამიტომ უწოდა ჩიქოვანმა გურამიშვილზე შექმნილ ნაწარმოებს „სიმღერა“.

მაგრამ ზოგიერთ ლექსებში ავტორს ლექსთა-წყობა ღალატობს. ეს ითქმის ლექსებზე „დავით გურამიშვილი წვიმაში“, „ომში წასვლა და გამოთხოვება“, „ოცნება წისქვილზე“ და „ცხოვრება წისქვილში“, ამ ლექსებში ქართული ტრადიციული ლექსის, ვერსიფიკაციის და იმპროვიზაციის დარღვევა და ახალი ვარიაციების და ეფექტების შექმნა ხშირად მიზანს ვერ აღწევს, მაგრამ ქართული ენის ბუნებასთან შეუთანხმებელი, უცხოური ჰანგებისა და კილოების კვალობაზე „ლექსად შეწყობილი სიტყვები“, ხმის ძიება და სიმღერები, არსებითად არც გურამიშვილს გამოუდიოდა.

ქართული ლექსის და ზომის გადახალისების სურვილთან ერთად, ჩიქოვანის პოეზიაში ქართული ენის გადახალისების სურვილიც ჩანს, განსაკუთრებით ლექსიკის დარგში. მას ხშირად არქაული, ახალი ან მის მიერვე შექმნილი სიტყვები ჩაუსვამს სტრიქონში.

„სიმღერაში დავით გურამიშვილზე“ ყველაზე კარგ ლექსებად მიმაჩნია რვა, ათი და თოთხმეტმარცვლიანი, ტრადიციული ზომით დაწერილი ლექსები.

ვინც ჩიქოვანის ლექსებს წაიკითხავს და მერე „სიმღერაზე“ გადავა, მისთვის ნათელი გახდება, რომ ეპოპეაში აღებული ყოველი მოვლენა და საგანი გადატეხილი და გატარებულია არა იმდენად გურამიშვილის, არამედ თვით ეპოპეის ავტორის სულის პრიზმაში. გურამიშვილისაგან და ბარათაშვილისაგან ჩიქოვანმა მწუხარება, სოფლის ამაოება და კაეშანი იანდერძა. მაგრამ პოეტი გამოსავალს ოპტიმიზმში პოებს. ეს ოპტიმიზმი გამოწვეულია თავისი ქვეყნის მიერ აწ მოპოებულ თავისუფლებით. ვაჟამ ჩვენ პოეტს ქართლის წარსული, გმირთა ლომგულობა და ჰეროიკა შეაყვარა. ჩიქოვანი მოჯადოებულია თავისი ქვეყნით, მისი „ბუნების ეშხით“, მისი ისტორიით, წარსულით, აწმყოთი და მერმისით.

იგი იწყებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობას. მისი თვალსაჩინო ზრდა, როგორც პოეტისა, ყველაზე უფრო ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მოხდა. ამ უკანასკნელ წლებში დასწერა ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწარმოებები: „შემოდგომის დღიური“, „საშინაო რვეული“, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და „არმაზის აჩრდილები“. ამ ნაწარმოებებში ისეთი დიდი სულიერი მღელვარება ჩააქსოვა ავტორმა, რომ იგი სცილდება მარტო ლიტერატორობის ფარგალს. ეს უკვე აღარ არის უბრალო პროფესიული ვარჯიშობა და პოეტური გართობა, არამედ ნამდვილი შთაგონებით გაშლილი, მორალური ცხოვრების და რთული სულიერი მოძრაობის დრამატიზმით სავსე სურათი და საგულისხმიეროა, რომ ავტორი უკვე ახერხებს ფერწერისა და მუსიკის შერწყმას,

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

*) დასასრული იხ. „ლიტ. და ხელ.“ № 29 (39).

**შალვა ალხაზიშვილი**

# პირველი ქართული მუსიკალური ფილმი

1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში, როცა წითელი არმია გმირულად იცავდა კავკასიის მისადგომებს, ამ დროს თბილისის ლენინის ორდენის კინო-სტუდიაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა სამამულო ომის თემებზე ახალ კინო-სურათების შესაქმნელად. ამ მუშაობის ერთერთი თვალსაჩინო შედეგია ფილმი „ჯურღაის ფარი“.

პირველ შეხედვით შეიძლება გაგიკვირდეთ: სად „ჯურღაის ფარი“ და სად თანამედროვე სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ აწარმოებს. მაგრამ, ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ „ძველი დროების ამბავი ახლისა გამომჩენიაო“. ძირითადში ფილმი აგებულია პოეტ გ. ლეონიძის მიერ კარგად გამონახულ ძველებურ ლეგენდაზე ჯურღაის შესახებ.

„ალაზნის ველზე ჰკიდია
ვაჟის ჯურღაის ფარიო,
მოუვლის ომის ხალისი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო“...

დიდ მუხის ტოტზე ჩამოკიდებულია ძველებური, მტკიცედ ნაჭედი ფარი. ზედ ლომია გამოხატული და ასო „ჯ“ (ჯურღაი). როცა სამამულო ომი დაიწყო,—ამბობს ციხე-სიმაგრის მოხუცი მცველი მამუკა,—სულ ნიავი აქანავებს ფარს, ჯურღაი საფლავშიაც ვერ ისვენებს, ბრძოლა სწყურიაო. და მართლაც, ჯურღაის ფარი ფილმში მოცემულია, როგორც სიმბოლო მთელი მებრძოლი საქართველოსი, რომელიც სხვა მოძმე ერებ-



კოლმეურნე ქალიშვილი (მომღერალი ნ. მიქელაძე) გასცქერის და ემშვიდობება ფრონტზე მიმავალ ჯარს

თან ერთად თავდადებულად იბრძვის უცხო დამპყრობელთა გასანადგურებლად.

ფილმის სცენარის ავტორები—გ. ლეონიძე, ს. დოლიძე და დ. რონდელი მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანის წინ იდგნენ. საჭირო იყო ქართული მუსიკის კონცერტის შექმნა, სადაც მაყურებლის და მსმენელის წინ გაიშლებოდა ქართული მუსიკის, სიმღერის და ცეკვის სიმდიდრე და მრავალსახეობა, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო არა იმ ძველი და ტრადიციული გზით, როდესაც კინო-ფილმი ქრონიკის სახით წარმოადგენდა სიმღერის და ცეკვის ესტრადულ ნომრებს. ეს ხომ იოლი წინააღმდეგობის გზა იქნებოდა. ფილმის ავტორებმა სცადეს საკონცერტო მასალის გაცოცხლება, გმირულ თანამედროვეობას დაუკავშირეს გმირული წარსული და საკონცერტო „ნომრები“ ორგანულად ჩააქსოვეს დრამატიზირებულ სიუჟეტში, რომელიც მოგვითხრობს ძველი გმირის ჯურღაის ბრძოლის შესახებ უცხო დამპყრობლებთან. ამრიგად, აღნიშნულ ფილმში კინოაპარატით გადაღებულ ცალკეულ სასიმღერო და საცეკვაო ნომრებს კი არა ვხედავთ მხოლოდ, არამედ ყველა ეს ნომერი სიუჟეტურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თვითონ ჯურღაის ამბავი კი ორგანულად დაკავშირებულია ჩვენი წითელი არმიის მიერ კავკასიის დაცვის ამბავთან. ფილმი სცილდება კინო-კონცერტის ჟანრის შემოზღუდულ რკალს და მაყურებელი მას ითვისებს, როგორც ნამდვილ მხატვრულ ფილმს. ამაში სწორედ ფილმის ერთერთი ღირსება.

რეჟისორმა ს. დოლიძემ და დ. რონდელმა შექმნეს ისეთი ფილმი, რომელიც თავიდან ბოლომდე ინტერესს იწვევს მაყურებელში. ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბა-



ლეიტენანტი (მომღ. დ. ბადრიძე) და კოლმეურნე ქალიშვილი (მომღ. ნინო მიქელაძე)

ლანჩივაძის და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან აღებულია ის, რაც ფილმის გმირულ სიუჟეტს შეეფერებოდა. პირველივე კადრებიდან, როდესაც ჯერ კიდევ ფილმი არ დაწყებულა, მოისმის მუსიკა,—კომპ. გრ. კილაძის უვერტიურა „განდეგილიდან“; ამ მელოდიურ მუსიკას სცვლის კომპ. ვ. მურადელის სამხედრო მარში; ჩვენს თვალწინ იხსნება ჩვენი საყვარელი, მშობლიური თბილისის პეიზაჟები. მიდის წითელ არმიის ნაწილი კავკასიის ქედისაკენ და მასთან სდევს, როგორც ლოზუნგი, შოთა რუსთაველის ძეგლის მარმარილოს დაფაზე წარწერილი უკვდავი სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, რაც ფილმს იდეურ ლეიტმოტივად მისდევს [illegible] თავის უმაღლეს [illegible] რი სიმღერა „ინდი-მინდი“, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს დ. ბადრიძე. მისი ხმა კარგად და მკაფიოდ მოისმის ეკრანიდან. წყაროსთან ლაშქრის პირველი დასვენებაა. აქ კოლმეურნეობაში მომუშავე ქალებს ხვდებიან მებრძოლებს ყურძნის მტევნებით და ვაშლით სავსე კალათებით, აქვე იმართება პირველი „მუსიკალური ინტერმეცო“. დ. ბადრიძე ასრულებს მელიტონ ბალანჩივაძის რომანსს „ოდესაც გიცქერ“, შემდეგ მომღერალი ნინო მიქელაძე (კოლმეურნე ქალი) და დ. ბადრიძე ერთად ასრულებენ დ. არაყიშვილის ლირიულ დუეტს „ლერწამი ხარ“, ამით დასვენება არ თავდება. კოლმეურნეობაში მომუშავე მეგრელი ქალი (მსახ. დ. წეროძე) ჩონგურზე დამღერის მეგრულ ხალხურ სიმღერას, რომელსაც შემდეგ აჰყვება ერთი მებრძოლთაგანი (მსახ. გელოვანი). ამ ხალხურ მელოდიით აღტაცებული უკრაინელი კაპიტანი საპასუხოდ მღერის უკრაინულ სიმღერას „ოი, დნეპრო“ (მუს. მ. ფრადკინისა, სიტ-



მარცხნით—უკრაინელი კაპიტანის როლში უკრაინის სახ. არტისტი მ. გრიშკო

ყვები პოეტ მ. დოლმატოვსკისა). [illegible]



[illegible]

[illegible] რომელიც თითქმის ხალხურ სიმღერად იქცა:

„Прощай, любимый город,
Уходим завтра в море“ და სხვ.

ფილმის ცენტრალური ადგილია მტერთან ლეგენდარული ხალხური გმირის ჯურღაის გმირული ბრძოლის ჩვენება, მსახ. დ. გამრეკელის განსახიერებით ჯურღაი ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებების მატარებელია, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანი განწყობილებით ხალხური სიმღერით „გაფრინდი, შავო მერცხალო“ მებრძოლები უახლოვდებიან ძველებურ ციხე-სიმაგრეს. აქ მათ ხვდებათ მოხუცი მცველი მამუკა, რომელიც მოუთხრობს მათ ჯურღაის თავგადასავალს. მამუკა (მსახ. გ. გრიგორაშვილი) ასრულებს „მესტვირულს“ (კომპ. გრ. კილაძე). ჯურღაის ამბავი ფილმში ისეა სიუჟეტურად დამუშავებული, რომ აქ წარმოდგენილია ქართული მუსიკალური კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშები: ჯურღაის და ეთერის ქორწილის სცენაში — „აბესალომ და ეთერიდან“ მეორე აქტის მარში; ცანგალას კუპლეტები



მომღერალი დ. გამრეკელი ჯურღაის როლში და მსახიობი მ. ჯაფარიძე ეთერის როლში

[illegible]



მომღერალი გ. გრიგორაშვილი ასრულებს ცანგალას კუპლეტებს „დაისი“-დან

საბჭოთა ადამიანების თაობანი, რომელთაც ლომის გული და არწივის თვალები აქვთ“. კავკასიის ხალხებმა მოძმე რუსი ხალხის მეთაურობით სამაგიერო პასუხი გასცეს გაბოროტებული ფაშისტების ურდოებს. კავკასიის მისადგომებთან ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელდა გერმანელ ფაშისტ ავაზაკების განადგურების დიადი სტალინური გეგმა.

ფილმი თავდება საზეიმო ფინალით: დ. ბადრიძე ასრულებს კომპ. ვ. მურადელის სიმღერას „ბელადის სიჭაბუკე“, ორკესტრი და გუნდი კი— კომპ. ა. ბალანჩივაძის „ჰიმნს სტალინისადმი“.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ბატალური სცენა არ არის მოცემული, ფილმი თავიდან ბოლომდე გმირული სულით არის გაჟღენთილი. ამაშია ამ ფილმის უდავო დამსახურება. ღრმა ხალხურობა, მგზნებარე პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობის მტკიცე გრძნობა — აი ის ძვირფასი თვისებები, რომელნიც ამ ფილმს ახასიათებენ. ამ მხრივ ფილმი თბილისის ლენინის ორდენის კინოსტუდიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. როგორც დამდგმელებმა, ისე მთელმა კოლექტივმა (მეორე რეჟისორი ვ. მშველიძე, ასისტენტი ა. ლორთქიფანიძე) სამამულო ომის პერიოდში ინტენსიურად, ენერგიულად იმუშავეს, რის შემდეგ მივიღეთ ნამდვილად გმირული, ხალხური, ნაციონალური ფილმი.

**სანდრო ეული**

# გურიის ცის ქვეშ*

1.

მზე ზღვისაკენ დაიხარა
და საღამო დადგა წყნარი,
მთვარის შუქი დაიღვარა,
შავი ზღვიდან ნიავ-ქარი
სისინებდა ფრთა-მაგარი.
მყის სოფელი შეტორტმანდა,
დაიფარა ირგვლივ ხმებით:
—„ვნახოთ, ჩვენ თუ უკრაინა!“
—„ბიჭო, შენ ვის ეხუმრები,
საქმე გვქონდეს გამრჯე ხალხთან,
შეგვეჯიბრონ ლომგულები!“
ეს ამბავი სოფლის გულში
რიჟრაჟივით ანთებული,
შემოფრინდა დილით გუშინ
თბილისიდან მიღებული:
„შეხვდით სტუმრებს, სურთ პირობა
ჰქონდეთ თქვენთან დადებული!“

2.

მთის ფერდობზე დათას ოდა
ღამით იდგა, ვით ხომალდი,
მთვარე ბაღნარს შუქს ათოვდა,
გამქრალიყო გარს წყვდიადი.
ეზო ჰგავდა ლაშქრის ბანაკს,
ციტრუსები—მხედართ კარვებს, —
და თვალებმა ხის ქვეშ გრძელი
სუფრა გემბანს შეადარეს.
სუფრა მეტს რას დაიტევდა,
არ ჰკლებია არაფერი,
თამადობას ფრიდონ წევდა,
სადღეგრძელო ითქვა ბევრი,
და თამადამ ძვირფას სტუმრებს
სიტყვა უთხრა აღგზნებული:
„დაე, საქმით განვამტკიცოთ
ჩვენი ძმობა დაწყებული!“.
სოცშეჯიბრში თუმცა გვიწვევთ,
აღგინთიათ გული ჩვენთვის,
„ფონს“ თუ გახვალთ,—მოგილოცავთ,
ტაშს დაგიკრავთ,—სხვა რა გვეთქმის“!
უკრაინის დელეგატი
სუფრის თავში აიმართა,
ტაში აჟღა, თითქოს ქარმა
დააბერტყა სუფრას კალთა.
„უკრაინა სალამს უძღვნის
მოძმე მზიურ საქართველოს.—
გვიგულებდეთ ერთგულ ძმებად,
მტერი თქვენი გაითელოს!
თქვენს მიწაზე ამობრწყინდა
ნეტარების მზე დიადი,
ჩვენს სამშობლოს ვინც აღვრიდა
სხივებს პირველ განთიადის!
იმ მზეს დიადს, სხივთა მფრქვეველს,
ჩვენი გულით ჩამოტანილს,
უმღერით და მას შევძახებთ:
„ხაი ჟივე რიდნი სტალინ!“

3.

შეხვედრა ჰქონდათ სტუმრებთან ხშირი,
იმართებოდა სოფელში ლხინი,
ხვდებოდნენ სტუმრებს ხელებგაშლილნი,
როგორც ხვდებიან მამა და შვილი.
იდგა სხვა დღე და
სხვა ღამეები,
უკრაინული ისმოდა ხმები
ვაშაც გრგვინავდა, ყველას თვალები
გაბრწყინვებოდათ ვით ვარსკვლავები
დელეგატ ქალთან შეხვედრა თბილი
იყო რა ტკბილი
და სანეტარო,
სტუმარს უმღერდა პატარა ლილი
და აჟღერებდა ჩონგურსა დარო:
„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო,
გულამოსკვნილი ვტიროდი,
სადა ხარ ჩემო სულიკო!“.

4.

შემოხვევოდნენ ბავშვები სტუმრებს,
როგორც მერცხლები
დაკიდულ ბუდეს,
ლექსის წაკითხვა უთხრეს ნათელას,—
იმ თითისხელას,
კუდმაკრატელას...
გოგონას სახემ მზისებრ ინათა
და ძვირფას სტუმრებს ლექსით მიმართა:
„მოგესალმებით ბავშვები,
თქვენ,—უკრაინელ სტუმრებსა,
ყვავილებს ვკრეფდით, ვკონავდით
გულიდან თაიგულებსა.
მიიღეთ ჩვენგან მოძღვნილი
წმინდა, ვით ნამი დილისა,
თქვენდამი გრძნობა ჩვენს გულში
სიტყვით არ გამოითქმისა.
ძია სტალინმა დაგვირგო
ჩვენ ბაღში ბედნიერება,
ვაშა მას, ვინც ჩვენ შეგვიმკო
ცხოვრება ათას ფერებად!“
გადაეხვია სტუმარი ქალი
და ეამბორა ნაზად გოგონას,—
ბავშვი შუქს ფენდა როგორც ციცკარი,
და მას მიართვა ყვავილთა კონა..
იგი შესცვალა პატარა ნელიმ,
თვალებშუშუნამ, სახეცქრიალამ,
წინ გაიშვირა მარჯვენა ხელი
და ხმა გაისმა მისი წკრიალა:
—„როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ
სად კურგანი არი,
სად გაშლილა საყვარელი
უკრაინის ბარი...“
მიწყდა ნელის ხმა,— ტარას შევჩენკოს
ლექსმა დარბაზში დათოვა სევდა,
სტუმრებმა იგრძნეს — პოეტმა თითქოს
მთის მწვერვალიდან გადმოიხედა...
წამოდგა ბიჭი წინ გულისფეთქით,
კაუჭა ცხვირით და თმაქოჩორა,
„ლექსს წაგიკითხავთ ქართველ პოეტის“,—
და მან ხალათი შემოისწორა.
„ვნახე პოეტი, ჩემთვის უცნობი
უკრაინელი ხალხის გენია
ვისაც დიადი რწმენით მშობელი
ქვეყანა შუქით მოუფენია.
ჩამოეხურა ბოხოხი ქუდი,
და მას ულვაში უგავდა ნამგალს,
ძლივსღა უჩანდა ჭროღა თვალები,
რომ დამცქეროდენ უცხო ამხანაგს,
იდუმალი ხმა გაისმა მისი:
„პოეტო, მოძმე საქართველოდან,
ჩემს სამშობლოში გხვდები სიამით,
ხულმა გინატრა, გული გელოდა“.
და მან ღიმილით გახედა ველებს,
უსაზღვრო სივრცე ჩაიდგა თვალში,
უსმენდა იგი დნეპრს მოღუღუნეს —
გაწოლილ ვეშაპს ვერცხლის ზეწარში.
მომიახლოვდა იგი პოეტი,—
გათენებამდის გვქონდა ბაასი
და როცა შეხვდა თვალი მზის სხივებს,
გამომიწოდა მან ღვინით თასი..
და სადღეგრძელო დავლიეთ ერთად
უკრაინის და საქართველოსი, —
ჩვენი მიწაწყლის, ჩვენი ველების,
ჩვენი მთების და ჩვენი მდელოსი..
გაჰქრა აჩრდილი,—შევისხით ფრთები
და უკრაინა დავფარე ფრენით,—
მისი სიტყვებით კვლავაც ვენთები
და მის ნაამბობს ვიგონებ ლხენით!“
აღაფრთოვანა სტუმრები ლექსმა,
თვითეულის გულს რომ ენთებოდა,
თითქოს შევჩენკოს ხმა ჩამოესმათ,
მისი ნათელი სახე ჩნდებოდა.

5.

უბრწყინავდათ სტუმრებს თვალი,
როს იხილეს ფორთოხალი,
ყვითელ-ყვითელ ჩიტებივით
მწვანე ხეზე შემომსხდარი.
ფორთოხალის ფერი გავდა
სტუმარ ქალის სახეს ქერას,
ფრიდონმა მას თავის ლექსი
წაუკითხა,— მიუმღერა:
„ფორთოხალის ხეებს ჩვენი
ბაღი დაუმშვენებია,
ღარიბი და დაქცეული
კაცი აუშენებია.
ვისაც ქოხი არ ჰქონია,
აუგია მისთვის ოდა,
ჩაუცმია, დაუხურავს,
ვინც შიშველი დადიოდა.
ცა ვარსკვლავებს მოეჭედა,
თეთრ ღრუბლებში იწვა მთვარე,
სადგურისკენ მიდიოდნენ
და ორღობე გაიარეს.
გულს აღგზნებდა ღამე წყნარი,
ჩაუარეს ახლოს ღელეს,
იქ ნაბადი ბეწვიანი
დაეხურა ჩაის ველებს.
მიდიოდნენ,
აცილებდნენ
მასპინძლები უცხო სტუმრებს.
წინ ხვდებოდათ ბაღნარები,
ჩაუვლიდნენ: გვერდით ურმებს.
მიდიოდნენ,
იმღეროდნენ
„შვიდკაცას“ და „რაშო რერას“.
დათამ სტუმრებს წამოუწყო
და გაისმა ეს სიმღერა:
„ვის გაქვთ ბაგე ფერად შინდი,
თვალი შავი, ინდი-მინდი,
გადმომყევი, გადმობრწყინდი,
გამიქროლე თვალსა ბინდი“.

*) ნაწყვეტი პოემიდან—„არწივის ბუდიდან“.

**შალვა რადიანი**

# გიორგი ერისთავი

## (გარდაცვალებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო)

გიორგი ერისთავის სახელთან ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებია დაკავშირებული. იგი სამართლიანად არის მიჩნეული „ახალი მოძრაობის დამწყებად ჩვენს მწერლობაში“ (ნ. ნიკოლაძე). მისი დამსახურება მართლაც რომ მრავალმხრივია. XIX საუკუნის 50-იან წლებში იგი სათავეში ჩაუდგა და ხელმძღვანელობა გაუწია თავისი დროის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას და გახდა ჩვენში თეატრისა და ჟურნალისტიკის ფუძემდებელი და პირველი კომედიოგრაფი.

გ. ერისთავმა ჩვენში შექმნა მხატვრული შემოქმედების ახალი ჟანრი—დრამატიული მწერლობა, რომელიც შემდეგში თვალსაჩინოდ განვითარდა. კომედიების წერა ჩვენში ახალი საქმე იყო. ამიტომ ერისთავს დამოუკიდებლად მოუხდა გზის გაკაფვა. მისი კომედიების მნიშვნელობა ქართული დრამატურგიული ხელოვნების განვითარებაში განუზომელია. ეს კომედიები შეიქმნა ახალი ლიტერატურული მიმართულების—რეალიზმის დამწყები.

გ. ერისთავმა თავისი კომედიებით განსაზღვრა ქართული დრამატურგიის განვითარება კარგახნის განმავლობაში. გ. ერისთავისეულ კომედიის ტრადიციას ჩვენში ხანგრძლივად ჰქონდა ფესვები გადგმული. მისი ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა ფაქტიურად მთელი ქართული კომედია, დაწყებული XIX საუკუნის 50 წლებიდან და გათავებული მე-20 საუკუნის ორი პირველი ათეული წლით. არ გვყავს არცერთი მნიშვნელოვანი კომედიის მწერალი, რომელზედაც არ შეიძლება არ ითქვას, რომ იგი არის ცოტათ თუ ბევრად გ. ერისთავის მიმდევარი ან გზის გამგრძელებელი (ზ. ანტონოვი, ბ. ჯორჯაძე, რ. ერისთავი, ა. ცაგარელი და სხვ.).

გ. ერისთავის ასე დიდ გავლენას ქართულ დრამატურგიაზე უნდა მიუმატოთ აგრეთვე მისი თვალსაჩინო ადგილი ქართულ სცენაზედაც. ეს პირველი ქართული კომედიოგრაფი თავისი პიესებით შესული იყო XIX საუკუნის თეატრების ძირითად სარეპერტუარო ფონდში, მისი კომედიები დღემდე არ ჩამოსულა ქართული თეატრის სცენიდან. ჩვენი საბჭოთა თეატრები დღესაც დიდის წარმატებით ანსახიერებენ ამ კომედიებს სცენაზე.

ფეოდალური ურთიერთობის ნგრევასთან არის დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, რომლებიც აღელვებენ გიორგი ერისთავს. „ქართველმა მოლიერმა“, როგორც მას უწოდა ვორონცოვმა, აგვისახა ყოფა მემამულეებისა, რომლებსაც არ ქონდათ გაწყვეტილი კავშირი თავიანთ სამფლობელოსთან და უფერულად ამთავრებდნენ ცხოვრებას. გიორგი ერისთავმა რეალისტურად გვიჩვენა მათი ყოფის პატრიარქალური საფუძვლების დანგრევა. „დავასა“ და „გაყრაში“ ასახულია ქართველი თავადაზნაურობის დეფორმაცია. ამასთანავე სწორედ ეს კომედიებია ერისთავის ნაწარმოებთა შორის ყველაზე სრულყოფილი დრამატიული ნაწარმოებნი.

თავად-აზნაურულ სინამდვილეს გ. ერისთავი კარგად იცნობდა, მას სრულებით არ სჭირდებოდა ამ სინამდვილის წიგნებით შესწავლა. ეს წრე ემსახურებოდა მას ცოცხალ შთაბეჭდილებათა წყაროდ.

გ. ერისთავის კომედიების დოკუმენტალობაზე, კონკრეტულ რეალურ სახეთა გადმოცემაზე თავის დროზედაც იყო მითითებული: „ძველ კაცებს კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ, რომ ერისთავის ტიპები აღებულია ადგილობრივ ცხოვრებიდან. „გაყრაში“ ავტორმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი ნათესავები და ნაცნობები. მათი გვარი ზოგიერთს კიდევ ახსოვს“ (გ. თუმანიშვილი).

საზოგადოება, რომელიც ერისთავის კომედიებშია ნაჩვენები, ეს არის ბატონყმობის დროის XIX საუკუნის პირველი ნახევრის თავად-აზნაურული საზოგადოება. ამ საზოგადოების წარმომადგენლები დაშორებული არიან სინამდვილეს. ისინი ჩაკეტილი არიან ვიწრო პატრიარქალურ ნაჭუჭში. ცხოვრების, ქვეყნიერების დიდი საკითხები მათთვის ორგანიულად უცხოა. ისინი გულგრილად უცქერიან ყველაფერ იმას, რაც მათ პირად ყოფაში არ შედის. ამ წრის დამახასიათებელ წარმომადგენლებს დაკარგული აქვთ სინამდვილის შეგრძნობის უნარი. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ ცხოვრებამ ახალი შინაარსი მიიღო, მთელი მათი ცხოვრების მიზნათ გამხდარა ბრძოლა ერთი ნაჭერი მიწისათვის. მათ შორის ყველაზე განათლებულ კაცად ის ითვლება ვინც კარგ არზას შეადგენს. ყველა ეს ანდუყაფარ-ამირინდოები იყვნენ არა კურიოზული შემთხვევითობანი, არამედ ტიპიური განზოგადოებანი.

მაგრამ გ. ერისთავი არ კმაყოფილდება მარტო თავად-აზნაურთა წრის დახატვით. მწერალი ამავე დროს გვიჩვენებს ახალი ფორმაციის ადამიანებს, რომლებიც წარმოიშვნენ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ნიადაგზე. გ. ერისთავი ხედავდა, რომ ეს უკანასკნელნი უფრო და უფრო აქტიურობდნენ. ბურჟუაზიამ თანდათან დაიპყრო ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები, მოხერხებულად გამოაცალა ხელიდან უსაქმობას და მცონარობას მიჩვეულ თავად-აზნაურობას მთელი მატერიალური საფუძველი. გ. ერისთავმა აღნიშნა ფულის მეურნეობის ძალა და ამ ნიადაგზე ახალი ტიპების წარმოშობა. მან ერთმა პირველთაგანმა ასახა ქართულ ლიტერატურაში ჩარჩული ბურჟუაზია. ამ წრის ადამიანები ცხოვრებაში სამოქმედოდ გარკვეული პროგრამითა და დროის შესაფერისი პრაქტიკული „ფილოსოფიით“ მოქმედებდნენ. ესენი არიან მიკირტუმ ტრდატოვი, კარაპეტ დაბაღოვი, მარტიროზ რიბნიკოვი, ივანე მინასოვი და სხვ.

ფულის ძალით განისაზღვრება ამ ხალხის ქცევა და შეხედულება. პირველ პლანზე მათ ცხოვრებაში წამოწეულია ფულის შეძენის სურვილი, იგი გამხდარა მათი ცხოვრების მიზანი. ფული არის ძლიერება, გავლენის მომნიჭებელი. ფულის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება ამ ქვეყნად. ასეთ შეხედულებას ტრდატოვ-დაბაღოვებს უკარნახებს თვით კაპიტალიზმის ბუნება. ახასიათებდა რა ამ პერიოდს, კ. მარქსი სწერდა: „ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივად ადამიანებს წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც არა სავაჭრო რამ, ხდება გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის საგნად, იქცა საქონლად. ქველმოქმედება, სიყვარული, რწმენა, ცოდნა, სინიდისი, — ყველაფერი ეს გახდა ვაჭრობის საგნად“. ფულმა შეუწყო ხელი ბურჟუაზიაში განსაზღვრული მორალის შექმნას, მის საფუძველზე შეიქნა ვაჭრის სპეციფიური დამოკიდებულება ოჯახისადმი, სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთადმი და ა. შ. ჩარჩ-ვაჭრების ხასიათის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ანგარიშიანობა და მტაცებლობა, თავისი მდგომარეობის აზრიანად და სარგებლიანად გამოყენება. ყველა ეს ადამიანები უდიდესი პრაქტიკოსები არიან, რომელთათვისაც მატერიალური ინტერესები ყველაფერზე წინა დგას. მათთვის უცხოა სანტიმენტალიზმი და გაწყენებული ოცნება. ისინი ფხიზელი რეალისტები არიან, არ მისდევენ ხელგაშლილ, უდარდელ ცხოვრებას, ამჟღავნებენ სიძუნწეს.

მიკირტუმ-კარაპეტები უწარსულონი, არაფრის მქონენი გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე. სამაგიეროდ მათ ახასიათებს ცხოვრების რთულ ხვეულებში გარკვევის უნარი, მტკიცე ნებისყოფა და მაგარი ხერხემალი, ამ თვისებებით იბრძვიან ისინი ცხოვრებაში. მათ ბევრი გაჭირვება და დამცირება გამოუვლიათ, მაგრამ ლტოლვა სიმდიდრისაკენ ავიწყებდა მათ ყველაფერს და ამ გზით ბევრმა მათგანმა თავის მიზანს მიაღწია. ივანე მინასოვის მამა კევსა ჰყიდდა, ხოლო შვილი უკვე „ბლაღოროდნი“ (ე. ი. მდიდარი. შ. რ.) გამხდარა, რომლის სახელიც, როგორც თვითონ ამბობს, „იევროპიამ იცის“ („წარსული დროების სურათები“). ასეთივეა კარაპეტა დაბაღოვი („ძუნწი“), რომელიც ასევე ცარიელი გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე. კარაპეტამ გაიძვერობითა და ჩარჩობით შეიძინა ოქროები. კარაპეტა დაბაღოვი წარმოადგენს განხორციელებას იმ უარყოფითი მხარისა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიას, როგორც კლასს ფულადი ადამიანებისა-დაგროვებით გატაცება. კარაპეტა სიმდიდრის რეალობას გრძნობდა იმდენად არა იმ შედეგებში, რომლებსაც იძლეოდა ოქრო, გადაქცეული საქონლად, რამდენადაც თვით ფეტიშად წარმოდგენილი ლითონი. მისთვის სიმდიდრე ნიშნავს კაპიტალის საგნობრივი ფორმის ე. ი. განძის შეგროვებას. სიძუნწე არის კარაპეტას ხასიათის დამახასიათებელი თვისება, რამაც იგი გადააქცია პირდაპირ მანიაკად, ჩაკლა მასში ყველა ადამიანური გრძნობა. ფულისადმი სიყვარულმა ისე დააავადა კარაპეტა, რომ მისი უბრალო დაგროვების სურვილი ხდება მთელი ცხოვრების შინაარსი. კარაპეტაში ფულის სიყვარული ერთგვარ პათოლოგიურ ვნებად არის გადაქცეული. საკუთარ თავზე უფრო მეტად მას სკივრში უმოძრაოდ ჩაკეტილი ოქრო უყვარს, იგი მზად არის სიკვდილის დროსაც კი პირში ჩაისხას გადნობილი ოქრო.

გ. ერისთავს მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოებაც, რომ ვაჭართა კლასის საოჯახო-ყოფითს ურთიერთობაში უკვე ფეხი მოუდგამს ბურჟუაზიულ მორალისათვის დამახასიათებელ მოვლენებს—თაღლითობას და მოტყუილებას ცოლქმრულ დამოკიდებულებაში.

გ. ერისთავის რეალისტური სახეები წარმოადგენენ არა რაღაცნაირ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს, არამედ ფართო მხატვრულ განზოგადოებას, რომლებიც გამსჭვალულია სათანადო სოციალური შინაარსით. გ. ერისთავის პერსონაჟები წარმოუდგენელია იმ გარემოს გარეშე, რომელიც მათ ერტყა, რომელთანაც ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, გ. ერისთავი თავის პერსონაჟებს გვიჩვენებდა, როგორც გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენლებს. აიღეთ თავად-აზნაურთა გალერეა „დავასა“ და „გაყრადან“ და ნათლად დაინახავთ, რომ თითოეული პერსონაჟი წარმოდგება, როგორც განსაზღვრული სოციალური სახე. გ. ერისთავის პერსონაჟების კავშირი წრესთან, კლასთან რელიეფურადაა მოცემული.

გ. ერისთავი, როგორც ჰუმანისტი მწერალი ააშკარავებს და ებრძვის ახალი ბურჟუაზიის მტაცებლურ ინსტიქტებს, მწერალი წინააღმდეგია ყოველგვარი ჩაგვრის. ის უაღრესი გულთბილობით გვიხატავს ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანთა სახეებს.

გიორგი ერისთავის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება წარსული კულტურის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა. გიორგი ერისთავმა თავის ნაწარმოებებში მოგვცა ფეოდალურ-მემამულეთა წყობილების დაცემის, დაღუპვის მხატვრული სურათი. ძველ საქართველოს განსაზოგადოებული ჩვენება გ. ერისთავის დრამატურგიას ხდის ისეთ მემკვიდრეობად, რომლითაც ვეცნობით მთელ ისტორიულ ეპოქას.

(„ლიტ. და ხელოვ.“ №3, 33-ე)



1853 წლის ომის ეპიზოდი. [illegible] 700 მხედარ-ცხენოსნისაგან შესდგებოდა: ნახ. მხატვ. მ. ვადბოლსკის.

# ს. ჩიქოვანის „ჩემი მამული“

(დასასრული)

რაც მანამდე მისთვის ესოდენ დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და უკანასკნელი წლების განმავლობაში დაწერილი მრავალი ლექსი სავსებით ადასტურებს ჩიქოვანის პოეტურ ორიგინალობას. მას გამახვილებული მხატვრული თვალი, მდიდარი ფანტაზია და ტემპერამენტი გააჩნია. მისი მეტაფორები და სახეები ძლიერი, ზუსტი და თავისებურია. იმ ნაწარმოებში, სადაც ავტორის აზრი მაღალი და ნათელია, გრძნობა კი ფაქიზი და უანგარო, — ენაც ძალუმია, ლამაზი და ლექსიც სრულქმნილი. ლექსი ტექნიკური თვალსაზრისითაც კარგად არის ნაჭედი, ვერსიფიკაცია და იმპროვიზაცია ჩინებული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩიქოვანის ენა ხანდისხან მოიკოჭლებს, და ხორკლიანია. ხშირად გვხვდება სიტყვა „ფართქალი“ და „აგრე“, რითმები: „მეთქვა“ და „ფეთქვა“, გრამატიკული კანონების დარღვევა. შეკითხვაზე: სად, საიდან, რაში, ხანდისხან, ჩვენის აზრით, მცდარი ფორმა გვხვდება. მაგალითად „ხანძარით“, „ხანძარში“-ს ნაცვლად. იგი სწერს: „სამოქალაქო ომის ხანძარით, როგორ ელავდა შენი მარჯვენა“ (7 გვ.) „ფუვდება, ცხვება ცომი ღუმელით“ (173) „მე როთახით გეძახოდი ღამეც“ (163) და სხვა. იგი ათმარცვლოვან და თოთხმეტმარცვლოვან ლექსშიც კი ხშირად ორმარცვლოვან სიტყვებს რითმავს, რაც სტრიქონს მოულოდნელად ჰკვეთს და ადუნებს, ლექსი დინამიურობას ჰკარგავს, წელდება და ტაეპებიც ჰაერის გარეშე რჩებიან და უმალვე იხუთებიან.

ჩიქოვანის პოეტური წარმოსახვა და გრძნობა ვერ ჩრდილავს მის გონებას. იგი აზრის პოეტი უფროა, ვიდრე უშუალო ემოციებისა და გრძნობისა. გურამიშვილის დიდაქტიკურ და ფილოსოფიურ ლირიკას მასზე დიდი გავლენა მოუხდენია, აგრეთვე იმ უცხოურ პოეტებს, რომლებიც აზრს უფრო ეთაყვანებიან, ვიდრე უშუალო გრძნობას.

ჩიქოვანის პოეზიის ნაკლულოვანებანი დიდათ შემცირებული არიან უკანასკნელი წლების ლექსებში. ქართულის სისუსტე ნელინელ ქრება და მის ადგილს იჭერს კარგი და ხატოვანი პოეტური ენით მეტყველება. ჩიქოვანი მძაფრად გამოკვეთილი პოეტური მეობის მატარებელია. მას ყველა თანამედროვე პოეტებისაგან განსხვავებული, თავისებური პოეტური აღქმა და ხილვა აქვს სინამდვილისა, სახეების თავისებური სისტემა, მანერა წერისა და კილო. მისი სახეების სისტემა არ არის მარტივი. იგი რთულია, ხშირად გაუგებარი, ბუნდოვანი სახე დაკვირვების შემდეგ იხსნება სრულად მკითხველისათვის.

ჩიქოვანის ზოგიერთ ლექსში („არმაზის აჩრდილები“, „დის დაკარგვა“, „მამის ჩვენება“, ლექსები წიგნიდან „საშინაო რვეული“ და სხვა) ალაგ-ალაგ შენიშნული კაეშანი გამოსავალს პოულობს კათარზისის გზით ოპტიმიზმში, ცხოვრების მიღებაში, ჩვენი ცხოვრების აწმყო და მომავალით აღტაცებაში და რეალიზმში. მისი ადრინდელი მანერა, ნაწილობრივ სევდიანი კილო ახლა შეცვლილია გმირული სოციალისტური ოპტიმიზმით. ამ მხნეობას, ამ ოპტიმიზმს ასაზრდოებს მამულის გმირული წარსულით გატაცება, მისი აწმყოს სიყვარული, და რომანტიკა-მომავლის იმედით დანახული.

ის სცდილობს სიკვდილსაც კი სძლიოს მშობლიური ბუნების სილამაზესთან ზიარებით:

„ჩემი სიკვდილი თუ მოვა მარტოდ,
უნდა ვიცოდე სახება მისი.
ის უნდა იყოს ზედმეტად სათნო
და თავწაკრული მშობლიურ ნისლით...
მარტოდ თუ მოვა, ლამაზი იყოს,
ვით ქალის თმებით შემკული ვაზი.
მე დამამსგავსოს ვენახის ჭიგოს,
შემომეხვიოს ქალივით ნაზი.
წაიღოს ჩემი სიცოცხლის ჩრდილი,
წალკოტში დამრგას, მგზნებარე გულით,
და მაშრიალოს მარტოდენ დილით
ფართო ფოთოლით და გაზაფხულით“.
(„უცნაური სურვილი“).

მართალია ამას დავით გურამიშვილს ათქმევინებს ავტორი, მაგრამ გურამიშვილი, როგორც უკვე დავინახეთ, მხოლოდ ობიექტირებული ხატია ჩიქოვანის სულისა. ამ შესანიშნავ და ჟრუანტელის მომგვრელ დაღადში ცნაურდება მარადისობასთან და გულგრილ ბუნებასთან ზიარება და იმგვარი პანთეიზმი, როგორიც პუშკინის ლექსში ისმის:

«И пусть у гробового входа
младая будет жизнь играть,
и равнодушная природа
красою вечною сиять».

## დამთავრდა რუსული სიმღერების შემსრულებელთა დათვალიერება

ერთი კვირის წინათ მოსკოვში დამთავრდა რუსული სიმღერის შემსრულებელთა სრულიად საკავშირო დათვალიერება. მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში მოეწყო დათვალიერების მესამე ტურის მონაწილე საგუნდო კოლექტივებისა და სოლისტების კონცერტი. საზოგადოებისა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურეს ვორონეჟის გუნდმა (ხელმძღვანელი კ. მასალიტინოვი), დონელი კაზაკების (ხელმძღვანელი პ. ლისოკონი), არხანგელსკის (ხელმძღვანელი ა. კოლოტილოვა), სამხრეთ-ურალის (ხელმძღვანელი მ. ჩერნიაკი) და ქ. კალინინის (ხელმძღვანელი ა. კაპულსკი) გუნდებმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, არხანგელსკის, ქ. გორკის, ქ. ივანოვოს, სვერდლოვსკის, სარატოვის, იაროსლავლის, ბარნაულის, ქ. კუიბიშევის, როსტოვის, კრასნოდარის, პენზის სოლისტ-მომღერლებმა.

## ახალი ამერიკული კომედია მოსკოვის კამერულ თეატრში

მოსკოვის კამერულმა თეატრმა ახალ სეზონში დასადგმელად მიიღო თანამედროვე თემაზე დაწერილი ამერიკული კომედია დ. კაუფმანისა და მ. ჰარტისა. ეს კომედია, რომელსაც ეწოდება „სტუმარი სადილზე“, იშვიათი წარმატებით მიდის ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ქალაქების თეატრების სცენაზე.

## თქმულება ნართებზე რუსულად

ოსი ხალხის ეპიური თქმულება ნართებზე უკვე დიდიხანია იპყრობს საბჭოთა კავშირის ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ეპიური ნაწარმოები, რომლის გმირები ანსახიერებენ ვაჟკაცობასა და გმირობას, ხალხურ სიბრძნეს და უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, შექმნილია დიდიხნის წინათ და ფრიად გავრცელებულია ოს ხალხში. ცალკე თავები ამ თქმულებიდან მოთავსებული იყო რუსულ გამოცემებში, რამდენიმე ხნის წინათ ეპოსი მთლიანად სთარგმნა ვ. დინიკმა, რუსეთის სამხატვრო გამომცემლობამ იგი ცალკე წიგნად გამოსცა..

## „ლენის დავიდოვი“

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ქართულ ენაზე გამოსცა პროფ. ვლ. ორლოვის ნარკვევი 1812 წლის სამამულო ომის დროს პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილ ორგანიზატორისა და ხელმძღვანელ პოეტ დენის დავიდოვზე. წიგნი სთარგმნა იროდიონ ქავჯარაძემ. წიგნი, რომელიც გამოვიდა ბესო ჟღენტის რედაქტორობით, შეიცავს 64 გვერდს და ღირს 9 მანეთი.

[illegible]

# ქართული ჯაზი

[illegible]



ზამთარი. ნახ. [illegible]



მსახიობი მ. ჯაფარიძე [illegible]

# მარჯანიშვილის სახ. თეატრი

## ახალი სეზონის წინ

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა ღამბაშიძემ განაცხადა:

ახალ სეზონს გავხსნით სექტემბრის შუა რიცხვებში მ. ჯაფარიძის პიესით „ყამთაბერის ასული“. სპექტაკლს სდგამს შ. ღამბაშიძე, დეკორატიულად აფორმებენ: ი. სუმბათაშვილი, და ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა ვ. ცაგარეიშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ: გ. ომიაძე (იმერეთის მეფე), კ. კვანტალიანი (უფლისწული არჩილი), ს. ზაქარიაძე (ყამთაბერ წერეთელი), ალ. ჟორჟოლიანი და გ. კოსტავა (კირკიტა) შ. ჯაფარიძე (ჩუბინი), ა. დონჯაშვილი და ნ. ჟორდანია (რუსუდანი) კ. დაუშვილი და მ. მგელაძე (ბარძიმ აბაშიძე), კ. სვანიძე (მამუკა), ი. ტრიპოლსკი (მერაბი), ალ. სიხარულიძე (ეგაბო), ვ. სულაქველიძე (შიო).

პიესა „ყამთაბერის ასული“ ასახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს. პიესაში იმერეთის მეფის ხასიათი მოგვაგონებს სოლომონ პირველს. სპექტაკლის გააზრებისას ჩვენ ვცადეთ მე-17-18 საუკუნის იმერეთის გამოხატვა, მაგრამ დადგმას ისტორიის ვიწრო ჩარჩოებით არ შევზღუდავთ.

ამ დადგმით ჩვენ გვინდა მაყურებელს ვუჩვენოთ პატრიოტული სპექტაკლი. როდესაც სამშობლოს საზღვრებს მტერი ემუქრებოდა, მეფე და მისი დიდგვარიანი აზნაურები ივიწყებდნენ ყოველ პირადულ ინტერესს და გაერთიანებულნი, მხარდამხარ ებრძოდნენ დამპყრობთა ურდოებს სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად.

პარალელურად მიმდინარეობს რეპეტიციები ალ. სამსონიას ისტორიულ პიესაზე „ბაგრატიონი“. „ბაგრატიონს“ სდგამს ვ. ყუშიტაშვილი, დეკორატიულად აფორმებს ელ. ახვლედიანი, მუსიკალურად — კომპოზიტორი ა. კერესელიძე.

ამ პიესაში ნაჩვენებია საქართველოს მგზნებარე შვილი, დიდი მხედართმთავარი გენერალი ბაგრატიონი, რომელმაც არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ისტორიაში რუსული იარაღის სადიდებლად. ამ პიესაში მთავარ როლებს ამზადებენ: ს. ზაქარიაძე და გ. ომიაძე (ბაგრატიონი), შ. ღამბაშიძე და ვ. გოძიაშვილი (კუტუზოვი), გ. შავგულიძე (სეპრი), ა. გომელაური (პლატოვი), გ. კოსტავა (ბარკლაი დე-ტოლი), თ. თეთრაძე (ეკატერინე), მ. ჯაფარიძე (ლიზა), მ. მგელაძე (ერმოლოვი), კ. დაუშვილი და გ. გეგეჭკორი (სტეპანიჩი). პრემიერა ნაჩვენები იქნება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

1944-45 წლის სეზონში დასადგმელად მიღებულია ი. ვაკელის ისტორიული პიესა „თამარ მეფე“, რომელსაც დასდგამს გ. ჟურული და ა. ოსტროვსკის „უმზითვო“ (თარგმნილია ე. ანდრონიკაშვილის მიერ). „უმზითვოს“ დადგმა მინდობილი აქვს ვ. ტაბლიაშვილს. გარდა ამისა განზრახულია დაიდგას თანამედროვე პიესა დიდ სამამულო ომის თემაზე.

ამავე სეზონში დაიწყება მზადება პ. კაკაბაძის კომედიის „კახაბერის ხმლის“ დასადგმელად.

განახლებული იქნება პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“.

აღდგენილი იქნება შემდეგი სპექტაკლები: გ. მდივანის „პარტიზანები“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ლ. გოთუას „ერეკლე მეფე“, კ. სიმონოვის „მელოდე“, ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და უ. შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“.

# ჟურნალ „მნათობის“ განხილვა

## მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე განხილულ იქნა ჟურნალ „მნათობი“-ს მუშაობა უკანასკნელ თვეებში. მოკლე მოხსენებით გამოვიდა ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ალიო მაშაშვილი. მან აღნიშნა, რომ ჟურნალი „მნათობი“ მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით გამოხატავს ქართული მწერლობის ახლანდელ მდგომარეობას. ამ ჟამად რედაქციის პორტფელში 40-მდე მოთხრობაა, მაგრამ მათ შორის მეტად მცირეა ისეთი, რომელიც სათანადო იდეურ-მხატვრულ სიმაღლეზე იდგეს და დაბეჭდვის ღირსი იყოს. რედაქცია ყოველ მხრივ ცდილობს აამაღლოს და გაამრავალფეროვნოს ჟურნალის შინაარსი. ამ მიზნით რედაქციამ მწერლებს გარდა, თანამშრომლებად მოიწვია საქართველოს მეცნიერები და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები. ჟურნალმა გააფართოვა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება, სადაც მეტწილად იბეჭდება წერილები თანამედროვე მწერლებსა და მათ ახალ ნაწარმოებებზე, დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე ახალი რუსული მხატვრული ნაწარმოებების თარგმნას და სხვა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების გაშუქებას. ჟურნალი დიდად აწევს თავის ხარისხს თუ მის მუშაობაში უფრო აქტიურ, ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ სარედაქციო კოლეგიის წევრები.

მოხსენების შემდეგ ჟურნალ „მნათობი“-ს უკანასკნელი ნომრების იდეურ მხატვრული ღირსების, საერთოდ, „მნათობის“ რედაქციის მუშაობის შესახებ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს სანდრო ეულმა, ბეს. ჟღენტმა, ლეო ქიაჩელმა, გიორგი ჯიბლაძემ, დემნა შენგელაიამ, ნიკო კიკნაძემ, სერგო ჭილაიამ და სიმონ ჩიქოვანმა. ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ჟურნალ „მნათობს“ გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ იგი მაინც ვერ ადის იმ დონეზე, რომ სავსებით აკმაყოფილებდეს თანამედროვე კულტურული მკითხველის მოთხოვნილებას. მთავარი ნაკლი ჟურნალის ის არის, რომ იგი დროულად და შესაფერისად ვერ უპასუხებს ჩვენი დროის მიერ წამოჭრილ საკითხებსა და პრობლემებს.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია სუსტად მუშაობს და მთელი საქმე დაკისრებული აქვს ორსამ პასუხისმგებელ მუშაკს. ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქცია მოვალეა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არა მარტო ჟურნალის იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებას, მის პერიოდულობას, არამედ იმასაც, რომ ჟურნალი თავის დროზე მიდიოდეს მკითხველამდე. შემოწმებით გამოირკვა, რომ „მნათობის“ გასული წლის უკანასკნელი თვეების და მიმდინარე წლის ახალი ნომრები მკითხველებს დღემდე არ მიუღიათ...

მნათობის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციის მუშაობაში მიღწეულ უნდა იქნეს კოლეგიალობა, სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის მუშაობა დარგების მიხედვით უნდა განაწილდეს; მათ უნდა დაეკისროთ პოეზიის, პროზის, კრიტიკის, ფილოსოფიის, პუბლიცისტიკის განყოფილებათა ხელმძღვანელობა. კოლეგია სისტემატურად უნდა იკრიბებოდეს, არჩევდეს და დასაბეჭდად ამტკიცებდეს წარდგენილ მასალებს, რედაქციამ მუშაობაში უნდა ჩააბას კვალიფიციური მწერლები და მათგან შეარჩიოს განყოფილებების ხელმძღვანელები; უფრო მეტად უნდა შემოიკრიბოს მწერალთა აქტივი და მათი მუშაობა წარმართოს თავისი გეგმის მიხედვით—მისცეს შეკვეთები და სხვა, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ჟურნალში მოსათავსებელი მასალის ყოველმხრივ დამუშავებასა და დახვეწას; ჟურნალში უფრო ხშირად უნდა იბეჭდებოდეს კრიტიკული წერილები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე და ცალკე მწერლების შემოქმედებაზე, აგრეთვე ახლად გამოსული წიგნების ბიბლიოგრაფიები.

# ქრონიკა

## ახალი მხატვრული ფილმი „მე შავზღველი ვარ“

ამ უახლოეს დღეებში მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის კინოთეატრების ეკრანზე ნაჩვენები იქნება ლ. სოლოვიოვის მოთხრობის „შავზღველის“ მიხედვით გადაღებული ახალი მხატვრული ფილმი „მე შავზღველი ვარ“. ფილმში მოთხრობილია ჩამომავლობით მეზღვაურის, სევასტოპოლელი საზღვაო მეომრის გმირული თავგადასავალი. ნატურგადაღება ამ ფილმისთვის სწარმოებდა განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში. სურათი დასდგა რეჟისორმა ა. მაჩერეტმა. მთავარ როლს ასრულებს ვ. ანდრეევი.

## გიორგი მდივანის პიესა „პეტრე ბაგრატიონი“

დრამატურგმა გ. მდივანმა დაამთავრა მუშაობა თავის ახალ პიესაზე, რომელიც წარმოგვისახავს 1812 წლის სამამულო ომის დიდი გმირის პეტრე ბაგრატიონის ცხოვრებასა და სამხედრო მოღვაწეობას. გ. მდივნის პიესა [illegible]

## ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“ სცენაზე

ალექსანდრე დიუმას (მამის) ცნობილი რომანი „სამი მუშკეტერი“ — სცენისათვის ჰეროიკულ კომედიად გადააკეთა დრამატურგმა ს. რაძინსკიმ. ახალ სამოსწავლო წელს ეს კომედია დასადგმელად მიიღო მოზარდი მაყურებლის მოსკოვის თეატრმა, — „სამ მუშკეტერს“ სდგამს ამ თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი ა. კრიჩკო.

## ახალი მხატვრული კინოფილმი საბჭოთა გმირ მფრინავებზე

ლენინგრადის კინოსტუდიაში დაიწყო ახალი მხატვრული ფილმის „პო-2“-ის გადაღება. ეს არის კომედია სამხედრო მფრინავზე, რომელიც, დაჭრის გამო, იძულებული გახდა გამანადგურებელ თვითმფრინავიდან თვითმფრინავ „პო-2“-ზე გადამჯდარიყო. მოქმედება სწარმოებს მტრისგან გარშემორტყმულ ლენინგრადში. განსაცდელით აღსავსე მრავალგვარი თავგადასავლის შემდეგ ფილმის გმირი ჩააჩუმებს მტრის ბატარეას, გამოდის გამარჯვებული გერ- [illegible]

სარედაქციო კოლეგია: [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, [illegible]